ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 2021 №148 (8677) ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯანმოს დირექტორის შუამავლობით ფაიზერის პრეზიდენტს დავუკავშირდი“

გვ.2

„გახარია რეალურად მესამე ძალაა. ის „ოცნებისკენ“ უფრო წავა, ვიდრე ნაცმოძრაობისკენ“

თორნიკე შარაშენიძე: „ხალხს უკვე დიდი ხნის მობეზრებული აქვს პოლიტიკოსების ერთისა და იმავეს ყაყანი ტელევიზიით“

გვ.3

„ქართული ოცნების“ არც ერთი დაპირება დასაჯერებელი არ არის“

გვ.4

გიგა ბუკია: „კახა კალაძის პირად რეიტინგსა და პარტიულ რეიტინგს შორის დიდი სხვაობა იქნება“

„სააკაშვილსაც იგივე უნდა, რაც ივანიშვილს — ამომრჩევლის პოლარიზაცია“

დავით ზურაბიშვილი: „ისტორიის სათავისოდ გადაკეთება სააკაშვილისთვის ახალი არ არის. საკუთარი ბიოგრაფიაც ასე აქვს გადამღერებული“

გვ.2

„ჩემთვის მთავარი ამოცანაა, ვადამდელი არჩევნები დავნიშნოთ“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალები იტყვიან, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდა, მაშინ, რა შედეგიც არ უნდა დადგეს, მას ჩვენ ვაღიარებთ“

შს მინისტრმა სუსის უფროსთან ერთად შინდისში 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო

გვ.5

სოსო გოგაშვილი პოლიტიკაში მიდის

გვ.4

ალერგიულ პაციენტებს ვაქცინაციის ცენტრებიდან უკან აბრუნებენ

გვ.4

ISSN 1987-9385

5 თიკო აბაშიძე: „გოგონამ გვითხრა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი იყო მამის მხრიდან“ — რა მოხდა აჭარაში

2 „გახარიას პარტიაში ხედავენ, რომ „ქართული ოცნება“ დიდად ვერ დააზიანეს“

5 4 დღის წინ დაკარგული 66 წლის ქალი ტყეში ცოცხალი იპოვეს

6 აზერბაიჯანმა ირანს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა

„სააკაშვილსაც იგივე უნდა, რაც ივანიშვილს — ამომრჩევლის პოლარიზაცია“

დავით ზურაბიშვილი: „ისტორიის სათავისოდ გადაკეთება სააკაშვილისთვის ახალი არ არის. საკუთარი ბიოგრაფიაც ასე აქვს გადამღერებული“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ ადანაშაულებს პრემიერი წინა ხელისუფლებას აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ეს მისი პიარკამპანიის ნაწილია თუ ასეთია მათი პოზიცია? რა სურს სააკაშვილს და როგორ უნდა გავიგოთ მისი ბოლო განცხადებები? ამ პოლარიზაციის ფონზე, სად არის გახარია და გამოვა თუ არა ისევ პოლარიზაცია იმ ფორმით, როგორიც აქამდე იყო? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

– აგვისტოს ომთან დაკავშირებით პრემიერი მუდმივად აკეთებს განცხადებებს ნაცმოძრაობის დადანაშაულების კონტექსტში – ხან პროვოკაციაზე წამოგების მხრივ, ხანაც პირდაპირ. ისევ ბოღმა ალაპარაკებს პრემიერს თუ ეს კარგად გათვლილი პიარკამპანიაა?

– ორივეა. პრინციპში, მე ვერ ვიტყვი, რომ ის ადანაშაულებს პროვოკაციაზე წამოგებაში და ა.შ. ღარიბაშვილისა და კობახიძის გამონათქვამებში ნაცმოძრაობა იყო მთავარი დამნაშავე, ანუ ნაცმოძრაობამ მოახდინა რუსეთის პროვოცირება. მანამდე, ჯერ კიდევ შარშან, ვოლსკიმ თქვა, რომ მოილაპარაკეს ვითომ სააკაშვილმა და პუტინმა, მოდი, ვითომ ომს დავიწყებ და შენ დაიპყარი ტერიტორიებიო. ლამის ამაში ადანაშაულებენ, ანუ ეს ვერსია, რომელსაც გვთავაზობენ ღარიბაშვილი და კობახიძე, ყველაზე ბნელი და ჩლუნგი (მაპატიეთ არაკორექტულობისთვის) ადამიანებისთვის არის განკუთვნილი, რომელიც საქართველოს უმრავლესობად მიაჩნიათ.

სადღაც თვითონაც ასე ფიქრობენ, სააკაშვილი რომ არა, პუტინი როგორ იკადრებდა რამესო. თითქოს პუტინი ჩვენ გავაბრაზეთ. ეს შეხედულებაც აქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, აქვთ კამპანია პრორუს, ანტიდასავლურ და რეტროგრადულ ძალებზე. პრინციპში, 5 ივლისიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ მთავარი ხაზი ეს არის. როგორც ჩანს, ამგვარად განწყობილ ამომრჩეველზე აქვთ გათვლა.

– ამგვარად უნდათ საზოგადოების პოლარიზაცია – რუსეთი და ევროპა?

– არა. მე ვიტყოდი, რომ ასე ნაციონალები უფრო აკეთებენ, ვიდრე ხელისუფლება. „ოცნების“ პოლარიზაცია არის ასეთი, რომ ნაცები და საქართველო, ანუ ნაცები, როგორც ანტიქართველები, როგორც ქვეყნის მტრები, როგორც ბოროტი არაადამიანები, ვამპირები, სისხლის მსმელები და უბედურებები, ჩვენ კი ვართ ქართველები, ტრადიციების დამცველი და მოყვარული ხალხი და ა.შ.

ცხადია, რომ ეს რუსეთისთვის ხელსაყრელი ამბავია და ეს მეორე ამბავია, მაგრამ ხელისუფლება არ ყოფს ასე, ჩვენ რუსებთან კარგ ურთიერთობაში ვართ, ჩვენ კარგები ვართ და თქვენ ცუდები ხართო.

– ამას დაერთო რუსეთში გაკეთებული განცხადებებიც იმავე მიშაზე და ასევე სხვა საკითხებზეც საქართველოსთან მიმართებით. ეს შემთხვევითი გგონიათ?

– შემთხვევითი საერთოდ არაფერია, მაგრამ ეს არ არის შეთანხმებული საქართველოს ხელისუფლებასთან. ცხადია, რომ რუსეთი წამოაყენებს პრეტენზიას, როდესაც დაინახავს, რომ ქვეყანა სცილდება დასავლურ კურსს. ახლა მეტი რაღა უნდა გააკეთონ, როდესაც გადააგდეს ევროკავშირი!

– რუსეთმა დაინახა, რომ ახლაა ამის შანსი?

– რა თქმა უნდა. ახლა უფრო გააძლიერა მოქმედება და ახლა უფრო გააქტიურდება. ეს ბუნებრივია და, ცხადია, ასე მოხდება.

– ამ ფონზე, მეორე მხრივ, მოვისმინეთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, კორექტული არ იყო და ყოველგვარი ეთიკური პოლიტიკის ზღვარს სცდებოდა. ეს რას ემსახურებოდა?

– სააკაშვილიც იმავეს ცდილობს, რასაც ივანიშვილი და რაც მათი კამპანიაა. გაყო საზოგადოება ორად – ის ამბობს, აქეთ ვარ მე, მე ვარ მთავარი საპირწონე ივანიშვილის და, თუ გინდათ, წამომყევითო მე, თუ არადა, გეყოლებათ ივანიშვილიო. ოღონდ ის პოზიციონირებს იმგვარად, რომ თვითონ არის დასავლეთი, პროგრესი და აღმაშენებელი, ხელისუფლება კი – დამაცევარი და რუსეთი.

– ამ დროს აღმაშენებლობა სხვას უნდა.

– კი. ასეთი მიდგომა აქვს და ესეც ახალი არ არის მისი მხრიდან. სულ ასე იქცევა და ჯერჯერობით ინარჩუნებს პოზიციების. ხელისუფლებაში კი ვერ მოდის, მაგრამ მთავარი ოპოზიციონერის ნიშას ინარჩუნებს.

– ისიც თქვა ბოლო ინტერვიუში, თავზე გადავახიე ხელშეკრულება სარკოზის, რომელმაც ჩამომიტანა და სადაც საქართველოს კოსოვიზაციის პუნქტი იდო.

– სარკოზი პრეზიდენტი აღარ არის, მგონი, საერთოდ დაჭერილია და, რასაც უნდა, იმას იტყვის. ეს ისეთი თემაა... როგორ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილს საფრანგეთის პრეზიდენტისთვის რამე თავზე გადაეხია იმ მომენტში, როდესაც მართლა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. გაცილებით უფრო მორიდებული და შეშინებული იქნებოდა, რაც ბუნებრივიც არის. მაშინ, პირიქით, სარკოზი იმედი იყო, თუნდაც ევროპელების ჩართვა, რომ ეს საკითხი რაღაცნაირად მოგვარდებოდა და არ მოხდებოდა ქვეყნის ხელახალი ოკუპაცია. ახლა ისტორიის სათავისოდ გადაკეთება სააკაშვილისთვის ახალი არ არის. მან სულ ასე იცის. საკუთარი ბიოგრაფიაც ასე აქვს გადამღერებული. სჩვევია მას ასეთი გადაჭარბებები.

– გამოდის, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილ-კობახიძის ტანდემსა და აქეთ უკვე სააკაშვილსაც პოლარიზაცია სურთ, მაგრამ, რამდენად გამოვა ეს იმ ვითარებაში, როდესაც, უნდათ თუ არა, გამოჩნდა მესამე მოთამაშე გახარიას სახით?

– მეც მაგას ვამბობ, რომ გახარია რეალურად მესამეა, რომელსაც მეტ-ნაკლებად სოლიდური რეიტინგი აქვს. ის განსხვავებული პოზიციიდან აკრიტიკებს ხელისუფლებას, ვიდრე დანარჩენი ოპოზიცია. ზოგი კი ამბობს, რომ ის არ არის ნამდვილი ოპოზიცია, მაგრამ ამას განსაზღვრავს ამომრჩეველი და არა კონკურენტი პარტიები.

რა თქმა უნდა, ამ არჩევნებზე არ იქნება ორ ცენტრს შორის არჩევნები. აქამდე მაინც ორ ცენტრს შორის იყო. ყველა, ვინც ცდილობდა, რაღაც სხვა გაეკეთებინა, ან ვერ შეძლო, ან მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს ამაზე. ოპოზიციის დიდი ნაწილი ცდილობდა, რომ რაღაცნაირად ნაცმოძრაობა უფრო მისაღები გაეხადა არანაცი ამომრჩევლისთვის, რაც ვერ შეძლო. მათ მოახერხეს ის, რომ ნაცმოძრაობის ორბიტის წევრები გახდნენ. პრინციპში, დარწმუნებული ვარ, რომ მათი ამომრჩეველიც გახარიასკენ უფრო წავა დღეს. ასე რომ, ეს ამბავი აღარ გამოვა. უკვე გვაქვს სამი ცენტრი, მერე შეიძლება რაღაც გადათამაშებები მოხდეს და კიდევ ახალი აქტორები გამოჩნდნენ, მაგრამ ამისთვის ჯერ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს და შედეგი გაფორმდეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯანმოს დირექტორის შუამავლობით ფაიზერის პრეზიდენტს დავუკავშირდი“

– როცა მე დავინიშნე პრემიერ-მინისტრად, ვაქცინები არ ჩამოვიდა საქართველოში, პირდაპირ მომწოდებლებთან დავიწყეთ მუშაობა, ჯანმოს გენერალურ დირექტორთან მქონდა ნაცნობობა და მისი უშუალო შუამავლობით დავუკავშირდი „ფაიზერის“ პრეზიდენტს, მაქსიმალურად დავაჩქარეთ პროცესი და დღეს მივიღეთ მილიონზე მეტი „ფაიზერი“ საქართველოში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წალკაში „ქართული ოცნების“ წალკის მერობის კანდიდატის ილია საბაძის წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– მე გითხარით, რომ ვაქცინები 5 თვის წინ არ იყო. ველოდებოდით კოვაქსის პლატფორმას, ეს პლატფორმა არის საერთო პლატფორმა, რომლისგანაც ყველა ქვეყანა ელოდებოდა ვაქცინებს, მაგრამ მოხდა დაგვიანება და ვაქცინები იმ დროისთვის, როცა მე დავინიშნე პრემიერ-მინისტრად, არ ჩამოვიდა საქართველოში. მე გადავწყვიტე მაშინ, დავავალე კაბინეტს და დავიწყეთ პირდაპირ მწარმოებლებთან, მომწოდებლებთან მუშაობა.

მაშინ კომუნიკაციაზე საერთოდ არავინ არ გამოდიოდა. კვირების განმავლობაში ელოდებოდნენ პასუხს მეილით. მე მქონდა ნაცნობობა ჯერ კიდევ ჩემი პირველი პრემიერმინისტრობის დროს ჯანმოს გენერალურ დირექტორთან, რომელიც იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მასთან მქონდა პირდაპირი კომუნიკაცია, მისი დახმარებით, მისი უშუალო კომუნიკაციით და შუამავლობით დავუკავშირდი „ფაიზერის“ პრეზიდენტს, მწარმოებელი კომპანიის პრეზიდენტს, რომელმაც საკუთარი ადმინისტრაციის უფროსის ჩართულობით, ჩემს აპარატთან, ჩემს ადმინისტრაციასთან, ასევე ჯანდაცვის სამინისტროსთან, მაქსიმალურად დავაჩქარეთ პროცესი და დღეს მივიღეთ მილიონზე მეტი „ფაიზერი“ საქართველოში. მილიონი ცალკე, რომელიც ჩვენ ვიყიდეთ და ნახევარი მილიონი პრეზიდენტ ბაიდენის საჩუქარი საქართველოსთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ პირველივე დღეებიდან იყო საქართველოში ჩინური ვაქცინის შემოტანის მომხრე, რადგან ჯანმოს გენერალური დირექტორისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ ჩინური ვაქცინების ავტორიზაციის საკითხი დროის ამბავი იყო.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, იმ დროს ვაქცინებზე მოთხოვნა გაზრდილი იყო და იმისთვის, რომ ვაქცინის მიწოდება არ შეფერხებულიყო, უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა ჩინეთის პრემიერთან.

– მაშინ იყო დილემა, ასეთი კითხვა არსებობდა ჩინურ ვაქცინებთან დაკავშირებით. პირველივე დღეებიდან ვიყავი მომხრე და ჩემი ინიციატივა იყო სწორედ ჩინური ვაქცინების შემოტანა საქართველოში. იმიტომ, რომ ისევ ჩემი კარგი მეგობრის და ნაცნობის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის რჩევით, პრივატულ საუბრებში მან მითხრა, რომ ორივე ჩინური ვაქცინა იქნება აღიარებული უახლოეს კვირებში და თვეებში, დროის ამბავია. მე მაშინ დავავალე მთავრობას და დავუკვეთეთ „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ ვაქცინები. ახლა რა ხდებოდა ამ პროცესში. მოთხოვნა იყო საკმაოდ გაზრდილი, ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ბევრს ჰქონდა და არა მხოლოდ ჩვენ, ამიტომ მოწოდებასთან დაკავშირებით შეფერხება იყო.

ჩინეთის პრემიერთან მქონდა კომუნიკაცია, შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ მილიონნახევარი ჩინური ვაქცინა დღეს არის საქართველოში. ანუ, საუკეთესო ვაქცინების მობილიზება შევძელით უმოკლეს დროში. ეკონომიკა გავხსენით და ყველა რეიტინგით, პარამეტრით დავუბრუნდით, ვუბრუნდებით პანდემიამდელ მდგომარეობას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პაატა იმნაძე: „ღარიბაშვილის ქეიფი მიუღებელი იყო“



დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ირაკლი ღარიბაშვილის ხალხმრავალ სუფრაზე ქეიფთან დაკავშირებით ამბობს, რომ მისი „ესმის“, თუმცა მისთვის მაინც მიუღებელი იყო.

– პრემიერიც ქართველია და აი, ამ ქვეყნის პრემიერია და ოლიმპიური ჩემპიონი როცა არის და რაღაცა მართლა იქ მე მესმის ეს ყველაფერი, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემთვის ესეც მიუღებელი იყო იმ ოლიმპიური ჩემპიონის შეხვედრაზე ასეთი სუფრა, მაქსიმალურად კი იყვნენ დისტანცირებულები, მაგრამ მაინც ჩემთვის მიუღებელი იყო, – თქვა იმნაძემ ტვ პირველთან.

7 აგვისტოს, გაუარესებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე ღარიბაშვილმა ხალხმრავალ სუფრაზე იქეიფა. ის სოფელ არხილოსკალოში იყო, სადაც ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ბექაურს შეხვდა.

სოფელში ათობით ადამიანი იყო შეკრებილი. არც ერთი მათგანი არ იცავდა კოვიდრეგულაციებს, არ ეკეთათ პირბადეები, არ იცავდნენ სოციალურ დისტანციას.

ქეიფის მეორე დღეს ღარიბაშვილი ფაიზერით აიცრა.

„გახარიას პარტიაში ხედავენ, რომ „ქართული ოცნება“ დიდად ვერ დააზიანეს“

– გახარიას პარტიაში ხედავენ, რომ „ქართული ოცნების“ ხმებზე პარაზიტობის მცდელობის მიუხედავად, დიდად ვერ დააზიანეს ის, ამიტომ ეს განცხადება იმედგაცრუების გამოძახილია.

ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტის კითხვას გახარიას განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ის ამბობს, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ ხმების 50%-ის აღების შემთხვევაშიც კი შეიძლება მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს.

როგორც პაპუაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, „ქართულ ოცნებას“ აქვს დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რომელიც მან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოიპოვა.

– გახარიას განცხადება, სადაც ამბობს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ ხმების 50%-ის აღების შემთხვევაშიც კი შეიძლება მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს, რა თქმა უნდა, არ არის სერიოზული მიდგომა. ჩანს, რომ ეს არის იმედგაცრუება გიორგი გახარიას მხრიდან, ვინაიდან ჩვენ ყველა ვხვდებით და კვლევამაც დაადასტურა ჩვენი ანალიზი, რომ დღეის მონაცემებით 3-4%, „ქართული ოცნებიდან“ წაღებული აქვს გახარიას პარტიას, მაგრამ ვიმუშავებთ, რომ ამომრჩევლები დავიბრუნოთ უკან. ფუნქცია, რომელიც გახარიას პარტიას ჰქონდა, რომ რამენაირად დაეზიანებინა „ქართული ოცნება“ და მისი მოწონება 53%-ზე ქვემოთ ჩამოეწია, ამოწურა. ისინი ხედავენ, რომ „ქართული ოცნების“ ხმებზე პარაზიტობის მცდელობის მიუხედავად, დიდად ვერ დააზიანეს „ქართული ოცნება“, ამიტომ ეს არის იმედგაცრუების გამოძახილი. „ქართულ ოცნებას“ აქვს დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რომელიც მან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოიპოვა, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია რეალურად მესამე ძალაა. ის „ოცნებისკენ“ უფრო წავა, ვიდრე ნაცმოძრაობისკენ“

თორნიკე შარაშენიძე: „ხალხს უკვე დიდი ხნის მობეზრებული აქვს პოლიტიკოსების ერთისა და იმავეს ყაყანი ტელევიზიით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? მიუხედავად პანდემიისა, ასეთი რთული ვითარებისა, წინ გვაქვს არჩევნები და პოლიტიკური პარტიებიც, ასე თუ ისე, წარმართავენ საარჩევნო კამპანიას. ოპოზიციის ერთი ნაწილი მაინც აქტიურად ითხოვს ვადამდელ არჩევნებს, თუმცა „ოცნებამ“ დაარღვია ხელშეკრულება და ეს ვალდებულება მოიხსნა. რის იმედი აქვს ან ერთ ან მეორე მხარეს?

– რის იმედი აქვთ? ამაზე პასუხი მაქვს მოკლე – ერთმანეთის სისულელეების, ანუ თითოეული მხარე იმედოვნებს, რომ მეორე მხარე დაუშვებს სისულელეს. მართალი გითხრათ, მე ასე ვუყურებ ამას. ვხედავთ კიდეც, რომ ორივე მხარე სჩადის სისულელეებს. თუმცა ხელისუფლება მაინც არის ერთიანი, მის ხელშია ადმინისტრაციული რესურსი და ოპოზიციის მხარეს, დაქსაქსულობის გარდა, ემატება ის, რომ მთავარ ოპოზიციურ პარტიას აქვს ზედა ზღვარი და იმის იქით ვერ ადის, რაც, საბოლოო ჯამში, მმართველი პარტიის შანსებს ზრდის.

– ადგილობრივი არჩევნები უფრო სპეციფიკურია და მეტი შანსი აქვს ხელისუფლებასო...

– კი, ეს სულ ასე იყო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც „ოცნება“ გავიდა შეთანხმებიდან და რეფერენდუმის მნიშვნელობა დაუკარგა ამ არჩევნებს, ბუნებრივია, უფრო რთული იქნება ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის მობილიზება. ამას კარგად მიხვდა სააკაშვილი და ამიტომაც თქვა, ჩამოვდივარო. რამდენად ჩამოვა, ეს არ ვიცით. ის ყოველი არჩევნების წინ ამას ამბობს...

– ამით შეეცადა საკუთარი ამომრჩევლის მობილიზაციას?

– დიახ, შეეცადა მობილიზებას და რეფერენდუმის მნიშვნელობის დაბრუნებას არჩევნებისთვის. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი „ოცნების“ მხრიდან შეთანხმებიდან გასვლისა, რომ დაეკარგათ რეფერენდუმის მნიშვნელობა არჩევნებისთვის და ჩაეკლათ ოპოზიციურ ამომრჩეველში აქტიურობა. ყველა მიზეზი არ ვიცით, ცხადია, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო.

– თავად „ოცნება“ რამდენად დაზარალდა ამ შეთანხმების დარღვევით?

– ყველა ვარიანტში დაზარალდნენ. დასავლეთის განწყობებზეც იგრძნობა ეს. დასავლეთში სხვა განწყობებია. ამერიკაში გადაგდება და მოტყუება საშინლად არ უყვართ. წესით, ეს კარგად უნდა სცოდნოდათ „ოცნებაში“ ვიღაც-ვიღაცებს. იქ არიან ადამიანები, რომლებიც კარგად ერკვევიან დასავლეთსა და საერთაშორისო ურთიერთობებში, რომ ამერიკელებს არ უყვართ ტყუილი, როგორც ასეთი. ერთი ტყუილი და დამთავრებული ხარ, ხაზს გადაგისვამენ.

– ეს არ იყო პირველი შემთხვევა „ოცნების“ მხრიდან, როცა სიტყვა გატეხა.

– კი, ასეა. „ქართული ოცნება“ ამის პარალელურად სულ პოულობს მიზეზს, თუ რატომ გააკეთეს ეს. ახლა ის იყო მიზეზი, რომ ნაცმოძრაობა არ აწერდა ხელს ამ დოკუმენტს და იმედი აქვთ, ამით შეარბილებენ ამ დარტყმას, რაც ახლა მიიღეს. მე კი არა მგონია, რომ ასე მარტივად იყოს შერბილება. ერთია, რას აკეთებს ნაცმოძრაობა, რომელიც, გასაგებია, რომ ხანდახან პირდაპირ რევოლუციით იმუქრება, მაგრამ მეორეა, რას აკეთებ შენ, სახელისუფლებო პარტია, რომელსაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა და სერიოზულობა გმართებს. ასე რომ, ნაცმოძრაობის მიერ ხელის არმოწერა არ გამოდგება მიზეზად, რომ ამან გაამართლოს „ოცნების“ ეს საქციელი.

– ფიქრობთ, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე იქნება უფრო მკაცრი რეაქციები დასავლეთის მხრიდან?

– შევხედოთ, არჩევნები როგორ ჩატარდება. თუ ჩატარდება ნორმალურად, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გადააგორონ. გასაგებია, რომ ჩამოვლენ დამკვირვებლები, მაგრამ დამკვირვებლები ძირითადად აკვირდებიან მაინც არჩევნების დღეს. მთავარი პრობლემებია არა არჩევნების დღეს, არამედ წინა პერიოდში. აი, ესაა მნიშვნელოვნად გამოსაკვლევი და არა ის, არჩევნებზე რა ხდება. არჩევნები ჩატარდება წყნარად, არავინ არავის არ მიუვარდება, თუმცა არჩევნებამდე შეიძლება ხდებოდეს ბევრი რამ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მოსყიდვა და ასე შემდეგ. შევხედოთ, რამდენად ეყოფა კეთილგონიერება „ქართულ ოცნებას“, არ მიიყვანოს საქმე იქამდე, რომ კიდევ უფრო გაირთულოს მდგომარეობა არჩევნების გაყალბებით.

– რთული პანდემიური სიტუაციაა ქვეყანაში. ეს რამდენად ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება? ალბათ, „ოცნებას“ არ აწყობს არჩევნების გადადება. რამდენად არის შანსი, შეიცვალოს სიტუაცია?

– შარშანაც არ იყო მაინცდამაინც კარგი მდგომარეობა საპარლამენტო არჩევნებისას, ვგულისხმობ კოვიდსიტუაციას, მაგრამ ჩატარდა. ასე რომ, არც ახლა გადაიდება არჩევნები, ამაში 100%-ით დარწმუნებული ვარ, თუმცა ეს კატასტროფა, რომელიც ხდება პანდემიის თვალსაზრისთ, მაინც მთავრობის რეიტინგს ურტყამს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება რაღაც უპირატესობა მიიღონ და ბევრი ხალხი არ მივიდეს არჩევნებზე, თუმცა ეს მაინც ურტყამს მათ პრესტიჟსა და ავტორიტეტს, ფაქტობრივად ჩააგდეს პროცესი. არადა, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და, როცა კარგად მიდიოდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, რეგულაციები მოეხსნათ. ნიღბის ტარებას ვგულისხმობ და ჯარიმებიც ჩამოწერეს.

– ალბათ, ეს პიარის გამო გააკეთეს. წინაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო?

– ალბათ, ასე იყო. როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ისედაც არ იცავს რეგულაციებს, ქორწილებში დარბის და პირბადეს არ იკეთებს, ასევე არ იცრება, კიდევ დამატებით მას რეგულაციები მოუხსნა და წაახალისო, ეს ნამდვილად არ სჭირდება. პირიქით სჭირდებოდა მოსახლეობას, რომ უფრო მკაცრი რეგულაციები ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, მიეჩვია პირბადის ტარებას ხალხი. აი, ეს არის უბედურება, მაშინ როცა ცოტა დასტაბილურდა სიტუაცია, ვაქცინებიც შემოვიდა ქვეყანაში, მოხსნეს რეგულაციები. მე ძირითადად ამით ვხსნი ამ აფეთქებას. გასაგებია, რომ ხელისუფლება აბრალებს ოპოზიციასა და მიტინგებს. ალბათ, მიტინგებმაც თავისი როლი შეასრულა, მაგრამ მთავარი რეგულაციების მოხსნა იყო.

– ბატონო თორნიკე, როდესაც ვსაუბრობდით პოლიტიკური პარტიების შანსებზე, ბოლო პერიოდში დაიდო სოციოლოგიური კვლევებიც. ძირითადად სამეული ლიდერობს – „ქართული ოცნება“, ნაცმოძრაობა და გახარიას პარტია. გახარია არ ჩქარობს, ჯერ კანდიდატებიც არ დაუსახელებია. რა შანსები აქვს გახარიას? მისი პოლიტიკა უფრო ლმობიერია, სხვებისგან განსხვავებით, ლანძღვა-გინების გარეშე. რა კურსი აირჩია მან?

– ეს გახარიას ფიგურიდან გამომდინარეა, მგონი. ის არ იყო პოლიტიკოსი, იყო მენეჯერი და არც უყვარს, ალბათ, ეს კინკლაობა და ჩხუბი, რასაც ვუყურებთ ჩვენ ტელევიზორში. ხალხსაც მობეზრდა მუდმივი ჩხუბი და ამას გახარია მშვენივრად ხვდება, არ ებმება ამ კინკლაობაში და, მე რასაც ვუყურებ, მისი პარტიის წამყვანი წევრებიც როცა არიან ტოკშოუებში, ცდილობენ, კი არ იჩხუბონ და იკინკლაონ, არამედ საქმეზე ილაპარაკონ. ეს ძალიან სწორი მიდგომაა. ჩემი აზრით, ხალხს უკვე დიდი ხნის მობეზრებული უნდა ჰქონდეს ერთისა და იმავეს ყაყანი ტელევიზიით. ამიტომაც სწორი გზა აირჩია ძალიან, უფრო მშვიდი და გაწონასწორებული, დადის და მოსახლეობას ხვდება, რასაც ძალიან ბევრი პოლიტიკოსი არ აკეთებს. როცა 2018 წელს გრიგოლ ვაშაძემ მთელი საქართველო მოიარა, მერე რა შედეგიც დადო, ხომ გვახსოვს?! მან მთელი საქართველო მოიარა და ხალხს მართლა შეხვდა. გახარიაც სწორად იქცევა, ტელევიზიებში კი არ ზის და იქიდან კი არ ხმაურობს, ხალხს ხვდება და ელაპარაკება. ეს ძალიან სწორი მიდგომაა. რაც არ უნდა ეძახონ ამ კაცს, ის თავის საქმეს წყნარად და მშვიდად აკეთებს.

– ანუ აქვს შანსი, რომ სამეულში მოხვდეს?

– ფაქტობრივად გასულია სამეულში. პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, შემდგარი ფაქტია, რომ გახარია არის მესამე ძალა! ამ ეტაპზე ვინც არ უნდა დაირქვას მესამე ძალა, უკვე შემდგარი ფაქტია, რომ გახარიაა მესამე ძალა!

– საინტერესოა მათი კანდიდატები. სულ გვესმის, კალაძის საპირწონეს თბილისში ვერ მოძებნის, თუ თავად საკუთარს არ წარადგენსო, თუმცა არსებობს ასევე მოსაზრება, რომ მას მერობა არ აინტერესებს.

– მას ადგილობრივ არჩევნებში, ბუნებრივია, გამარჯვების იმედი არა აქვს. მას უნდა, რომ დაფიქსირდეს, ჩანდეს. პოლიტიკაში თუ არ დაფიქსირდი, ეს ძალიან ცუდია, გირტყამს. ერთმა პარტიამ დაუშვა შეცდომა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო და მერე პრაქტიკულად აორთქლდა. ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია, დაფიქსირდეს, რაღაც შედეგი დადოს, განაცხადი გააკეთოს, დააფიქსიროს, რომ ახლანდელი 10% არ იყო შემთხვევითი და დროებითი.

– ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ მოახერხა ოპოზიციის გაერთიანება და მელიას ერთიან კანდიდატად დასახელება, ალბათ, ეს ცუდად იმუშავებს მელიაზე.

– კი, რა თქმა უნდა, ცუდად იმუშავებს, თუმცა მელიას ეყოლება თავისი ამომრჩეველი. ნაცმოძრაობას ყოველთვის ეყოლება თავისი ამომრჩევლის ერთგული არმია და ეს ორი ფაქტორითაა გამოწვეული: ერთი – სააკაშვილის მდიდარი რეიტინგი და მეორე ის, რომ ხალხის ნაწილს ის კარგი რეფორმები, რომლებიც გაატარა ნაცმოძრაობამ, ახსოვს.

– ამ გადმოსახედიდან შეძლებს გახარია, გაუსწროს ნაცმოძრაობას?

– არა, ჯერ, ალბათ, ვერა, მაგრამ იმ სიტუაციაში, როცა „ოცნების“ რეიტინგი ეცემა, გახარიას პარტიას, შესაძლოა, ჰქონდეს გადამწყვეტი წონა იმავე კოალიციური მთავრობისთვის და ეს ფაქტია. გადამწყვეტი წონის სტრატეგია ერგო გახარიას, შეუძლია, საქმეც აქეთ წარმართოს.

– ასე დამოუკიდებელ თამაშს გააგრძელებენ ბოლომდე გახარია და მისი პარტია?

– რატომაც არა, ძალიან მომგებიანია. თუ მიდგა საქმე კოალიციის შექმნაზე, ივაჭრებს მშვენივრად. ის არჩევნებში გავა მარტო და ეს მისი მხრიდან სწორი იქნება. მას სხვასთან ალიანსები არ სჭირდება. თუ ხელისუფლება შევიდა კრიზისში, არ არის გამორიცხული, რომ კოალიციური მთავრობა ვიხილოთ და დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე რეალისტური „ოცნება“ გახარიას კოალიცია იქნება. მე საუბარი მაქვს 2024 წლის არჩევნებზე და მის შედეგებზე. მეორე მხარეს რჩება ნაცმოძრაობა და დანარჩენი ოპოზიცია. თუმცა ისინი გახარიას გამოკლებით შეძლებენ აიღონ 50%-ზე მეტი? არც ერთი მონაცემით ჯერჯერობით ასე არ გამოდის. გახარია „ოცნებისკენ“ უფრო წავა, ვიდრე ნაცმოძრაობისკენ, თუკი კოალიციურ მთავრობამდე მივიდა საქმე.

– გადამწყვეტი სიტყვა გახარიამ უნდა თქვას?

– ამ ეტაპზე ასე ჩანს. ის იქნება გადამწყვეტი წონა.

– მაშინ კარგადაც შეუძლია, ივაჭროს პოლიტიკურად.

– რა თქმა უნდა. დღეს გახარია ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სიტუაციაშია.

„ჩემთვის მთავარი ამოცანაა, ვადამდელი არჩევნები დავნიშნოთ“

მურმან დუმბაძე: „თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალები იტყვიან, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდა, მაშინ, რა შედეგიც არ უნდა დადგეს, მას ჩვენ ვაღიარებთ“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო მურმან, „გორბის“ მიერ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევებით, კახა კალაძეს გუნდმა უკვე მიულოცა გამარჯვება და ამომრჩეველსაც მადლობა გადაუხადა.

– ნუ იჩქარებენ მილოცვებს. სოციოლოგიური კვლევებით საქართველოში ყოველთვის ხელისუფლება იგებს. ასე მოიგო 2012 წელსაც ქაღალდზე არჩევნები მაშინდელმა ხელისუფლებამ, მაგრამ 1 ოქტომბერს სულ სხვა რეალობა დადგა არჩევნების შედეგად. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც 2 ოქტომბერს სულ სხვა რეალობა დადგება.

საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიით, ოპოზიცია ვერასდროს ვერ მოდის ხელისუფლებაში. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ხშირად ადამიანები გულწრფელები არ არიან ან ეშინიათ, ფიქრობენ, რომ ღიად პოლიტიკური კუთვნილების დასახელება საზიანო იქნება მათთვის.

ტენდენციები გასაგებია, მაგრამ სოციოლოგიის ყველაზე უტყუარი ვარიანტი არჩევნებია, არჩევნები, რომელიც დემოკრატიულ და თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს.

– როგორია თქვენი მოლოდინი?

– თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალები იტყვიან, რომ არჩევნები მართლაც გამჭვირვალედ და თავისუფლად ჩატარდა, მაშინ, რა შედეგიც არ უნდა დადგეს, მას ჩვენ ვაღიარებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგს არ ვაღიარებთ. თუ საარჩევნო უბნებთან „ძველ ბიჭებს“ დააყენებენ და შეგინების, ხელების გადაგრეხის ფონზე იძულებით ჩააგდებინებენ ადამიანებს ბიულეტენს და ამ გზით ჩატარდება არჩევნები, ეს არჩევნები ვერ იქნება აღიარებული. ეს ახლავე უნდა იცოდნენ „ქართულ ოცნებაში“.

– არ ფიქრობთ, რომ კალაძე პოპულარულია თბილისში?

– არა, კალაძის რესურსი მაინც „ქართული ოცნებაა“ და არა მისი საყოველთაო სიყვარული, რაც მითია. მისი ძირითადი ამომრჩეველი „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია, რომლის რეიტინგიც, როგორც არასდროს, ისეა დაცემული.

როდესაც დღეში 50-ზე მეტი ადამიანი კვდება და 5 ათასზე მეტი ინფიცირებულია ყოველდღიურად, ეს ნიშნავს, რომ კატასტროფა ხდება და შეუძლებელია, ამ ფონზე ხელისუფლებას მაღალი რეიტინგი ჰქონდეს. სწორედ ამ ხელისუფლების ნაწილია კალაძე. როგორ შეიძლება, პოპულარული იყოს იმ ხელისუფლების კანდიდატი, რომელიც ქვეყანაში უმწვავეს პრობლემას ვერ მართავს.

სიმართლე გითხრათ, კალაძის მერობა საერთოდ არ მაინტერესებს. ჩემთვის მთავარი ამოცანაა რეფერენდუმი და 43%, რათა ვადამდელი არჩევნები დავნიშნოთ.

– თბილისში შეიძლება კალაძემ გაიმარჯვოს, მაგრამ რეგიონის მასშტაბით „ოცნებამ“ ვერ გაიმარჯვოს?

– ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში მეორე დღესვე ინიშნება ვადამდელი არჩევნები და ვისი მერი იქნება კალაძე, წაგებული „ქართული ოცნების“ თუ თბილისის?! ეს ხომ შეუსაბამობაა!

– გიგი უგულავაც ხომ იყო თბილისის მერი „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ.

– დიახ, იყო. მე ვამბობ, თუ დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები, მისი აღიარება შემიძლია, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს.

თუმცა აქ მთავარი აქცენტი რეფერენდუმზე უნდა გააკეთოს ამომრჩეველმა, იმ 43%-იან ბარიერზე, რომლის ანულირებაც მოახდინა ხელისუფლებამ სრულიად გასაგები შიშების გამო. ამიტომ, ჩვენ ყველამ ერთად, მოქალაქეებმა, ოპოზიციამ უნდა შევძლოთ, ეს ბოლომდე მივიყვანოთ და დავნიშნოთ ვადამდელი არჩევნები.

– თუ ასე არ მოხდა, მერე რა ხდება?

– არაფერი, „ქართული ოცნება“ რჩება ხელისუფლებაში და ცხოვრება გაგრძელდება ისე, როგორც დღეს არის. პენსიონერის პენსია კიდევ უფრო გაუფასურდება, წამლები კიდევ უფრო გაძვირდება, ხორცი 30 ლარი გახდება, ეკონომიკა ბოლომდე ჩამოიშლება, კრიმინალი გაიზრდება, ქვეყნიდან წამსვლელთა რაოდენობა გაორმაგდება, ის ცხოვრება, რომელიც დღეს გვაქვს, კიდევ უფრო გაუარესდება. თუმცა საქართველოს უახლესი პოლიტიკის ისტორია სხვა რაღაცას გვეუბნება – რომ ვერც ერთი ხელისუფალი ორ ვადაზე მეტ ხანს ვერ ძლებს. ვერ ეგუება ხალხი დამყაყებულ რეალობას, ცვლილებას, სიახლეს ითხოვს. ასეთია მისი ბუნება. შევარდნაძე ბევრად უფრო ძლიერი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ, როდესაც ცვლილებების დრო მოვიდა, ვერაფერს გახდა, ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბიძინა ივანიშვილი ედუარდ შევარდნაძე ხომ არ არის! ივანიშვილის ერთადერთი რესურსი ფულია და ამ ფულით რუსული ტიპის არჩევნებს ატარებს. თუმცა ძალიან მარტივად დგას საკითხი: თუ „ოცნება“ 43%-ს ვერ მიიღებს, ვადამდელი არჩევნები იქნება.

– როგორ? არჩევნებს ხომ ხელისუფლება ნიშნავს.

– თუ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერები ვადამდელ არჩევნებს არ დანიშნავენ და ეს იქნება ხალხის ნება, მაშინ რევოლუციას მიიღებენ და ეს ალალი იქნება მათზე. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. „ოცნების“ დასასრული იქნება 2 ოქტომბერი. ამას უნდა შეეგუონ.

„ქართული ოცნების“ არც ერთი დაპირება დასაჯერებელი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში პანდემია მძვინვარებს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კი კარზეა მომდგარი. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– ჯანდაცვის მინისტრმა და ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე 2 ოქტომბრის კოვიდრეგულაციებზე იმსჯელეს. არჩევნების დღეს რომ რეგულაციები იქნება, ისეც ვიცით. არჩევნები მხოლოდ ერთ დღეს ხომ არ მოიცავს. წინასაარჩევნო პერიოდი როგორ მიმდინარეობს ვითარებაში, რომელიც საგანგაშოდ ფასდება?

– სიტუაცია, მართლაც, რთულია. ზაფხულში ეპიდაფეთქებას ბევრი არ ელოდა. ვიტყვი იმას, რომ ხელისუფლება და მმართველი პარტია იყენებს პანდემიას თავისი მიზნებისთვის. ეს ხდება იმ დროიდან, როცა კორონავირუსით ინფიცირებულები გაჩნდნენ. 2020 წელს „ქართულმა ოცნებამ“ შეზღუდვებიც საკუთარი ამოცანებისთვის გამოიყენა, ბიუჯეტის თანხებიც და ხალხისთვის გაცემული შემწეობებიც.

– ამან შედეგი იქონია?

– ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებს თუ დავეყრდნობით, მმართველი პარტიისთვის ეს ყველაფერი შედეგიანი აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, რომ მანამდე „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა ძალიან დაეცა, კორონავირუსმა კი მას რეიტინგი აუწია. ბოლო ხანს ხელისუფლება სააკაშვილის ფაქტორთან ერთად თავის სასარგებლოდ იყენებს პანდემიას. სააკაშვილით მოსახლეობის დაშინება, შუას გაკრეფა და კორონავირუსი გახდა „ქართული ოცნების“ მაშველი რგოლები.

– საზოგადოება მმართველ პარტიას გრანდიოზული წინასაარჩევნო კონცერტების გამოც აკრიტიკებს. ადამიანები მიიჩნევენ, რომ ეს ხელს უწყობს ეპიდაფეთქებას.

– მმართველ პარტიას ბევრი რამის გამო ვაკრიტიკებ, მაგრამ ამ შემთხვევაში მკაცრი არ

„ჩნდება ეჭვი, რომ 2020 წლის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ხმები გაიყვეს“

ვიქნებოდი. ხალხი არ უნდა დათრგუნო და დააშინო. ზაფხულია და ღია სივრცეში დაუშვეს კულტურული ღონისძიებები. როცა ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ალბათ, ასეთი მდგომარეობა არ იყო. საერთოდ არ ვარ ყველაფრის ჩაკეტვისა და გაჩერების მომხრე. ამას მაშინაც ვამბობდი, როცა ხელისუფლებამ პირველი ლოკდაუნი გამოაცხადა. ჩაკეტვები მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს ადამიანებს, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ ზარალზე.

– მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ გამოვიდა ე.წ. მიშელის მემორანდუმიდან, ფაქტობრივად მოიხსნა 43%-იანი მექანიზმი. ოპოზიცია კი მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებს მაინც რეფერენდუმს ადარებს. თქვენ რას იტყვით?

– გაიმართება თუ არა ვადამდელი არჩევნები, ეს „ოცნების“ ახლანდელი ლიდერების კი არა, ხალხის გადასაწყვეტია. თუ საქართველოს

გიგა ბუკია: „კახა კალაძის პირად რეიტინგსა და პარტიულ რეიტინგს შორის დიდი სხვაობა იქნება“

მოსახლეობა გადაწყვეტს, რომ „ოცნების“ მმართველობამ ვადა ამოწურა, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. „ქართული ოცნების“ ლიდერები ხალხის ნებას არ უნდა დაუპირისპირდნენ. რაც შეეხება შეთანხმებიდან გამოსვლას, ეს სამარცხვინოა.

– ფიქრობთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უპირობობა გამოიჩინა?

– რასაკვირველია. აბა, რა ჰქვია იმას, როცა ჯერ აფორმებს დოკუმენტს, ხელს აწერს, ვალდებულებებს იღებს, შემდეგ კი შეთანხმებიდან გამოდის?! ეს მმართველი პარტიის მიერ პირობის დარღვევის პირველი შემთხვევა არ არის. როცა უმრავლესობაში ვიყავით, „ოცნების“ წარმომადგენლები გვარწმუნებდნენ, რომ მხარს უჭერდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებს პროპორციული სისტემის თაობაზე. ისინი საჯაროდაც იმავე პირობას დებდნენ. შემდეგ ის არ შეასრულეს. ამის გამო „კონსერვატორებმა“ დავტოვეთ უმრავლესობა. მაშინ თუ რაღაცნაირად ხსნიდნენ ამ ნაბიჯს (თუმცა ამასაც არა აქვს გამართლება), ახლა საერთოდ ვერ განმარტეს, თუ რატომ დატოვეს მიშელის შეთანხმება. ეს გახდა სამარცხვინო და დასასრულის დასაწყისი. უპიროსა და „გადამგდებს“ არავინ არც ერთ სფეროში, არც ადამიანურ ყოფაში არ ენდობა.

– ცესკოს თავმჯდომარე შეიცვალა. ოპოზიციის ნაწილი მაინც უნდობლობას უცხადებს ცესკოს.

– სიმართლე გითხრათ, ამ ოპოზიციისაც არ მესმის. ამ ოპოზიციის მოქმედებები და გეგმები ხშირად ისეთივე გაუაზრებელი და ულოგიკოა, როგორიც მმართველი პარტიისა. ისინი მოქმედებებს წინასწარ არ თვლიან, არ ზომავენ, ხელმძღვანელობენ პრინციპით: „რაც უარესია, მით ჩვენთვის უკეთესია“. ეს პოლიტიკოსები წინა არჩევნების შედეგების მიმართ უნდობლობასაც გამოთქვამდნენ. იმისათვის, რომ თავიანთი სიმართლე დაემტკიცებინათ, შესანიშნავი საშუალება ჰქონდათ. ამისათვის შეიქმნა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. ოპოზიცია ამ კომისიის მუშაობაში არ ჩაერთო. ამან ეჭვი გააჩინა.

– რა ეჭვი?

– ჩნდება ეჭვი, რომ 2020 წლის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ხმები გაიყვეს. ჩვენს პარტიას ძალიან ბევრი ხმა არ მიუღია, მაგრამ ის ხმებიც „გაქრა“. თუ ნაციონალურ მოძრაობას გაყალბების ამსახველი დოკუმენტაცია ჰქონდა, ხომ უნდა წარმოედგინა! ვისაც საარჩევნო კომისიებში წევრები ჰყავს, იმას უნდა დაედასტურებინა გაყალბება. ნაციონალურმა მოძრაობამ ეს არ გააკეთა. ეს ბადებს მოსაზრებას, რომ ფალსიფიკაცია მის სასარგებლოდაც მოხდა.

– ვრცელდება გამოკითხვის მონაცემები, სადაც კალაძე საგრძნობლად უსწრებს მელიას. ექსპერტები აცხადებენ, რომ სხვა კანდიდატები, რომლებიც მოგვიანებით დასახელდებიან, ხმებს წაართმევენ კალაძეს.

– დარწმუნებული ვარ, არჩევნებზე კახა კალაძის პიროვნულ რეიტინგსა და პარტიულ რეიტინგს შორის დიდი სხვაობა იქნება. კალაძისადმი ნდობა ბევრად დიდია, ვიდრე „ოცნების“ რეიტინგი. პარტიულ ნაწილში „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება ქვეყნის მასშტაბით. დღესდღეობით კახა კალაძე თბილისში ლიდერია. ვნახოთ, გამოჩნდებიან თუ არა სხვა ძლიერი კანდიდატურები მერის პოსტზე. თუ ეს მოხდა, კონკურენცია მისასალმებელია.

– პრემიერმა მერებისა და საჯარო მოხელეების ხელფასების ზრდა დააანონსა. ოპონენტები თვლიან, რომ მმართველი პარტია ადმინისტრაციულ რესურსს იკრებს.

– კრიზისია საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც. არ ვიცი, ასეთ დროს რამდენად მიზანშეწონილია ხელფასების ზრდა. საერთოდ, საჯარო სამსახურეში ხელფასები არ უნდა იყოს დაბალი. ეს იწვევს პროფესიონალების გადინებას. პირადად მე ხელისუფლების დაპირებების არ მჯერა. „ქართული ოცნების“ არც ერთი დაპირება დასაჯერებელი არ არის. მაგალითებზე წეღან ვისაუბრეთ. ასე რომ, ხელფასები ან გაიზრდება, ან – არა. ამ საკითხსაც, რასაკვირველია, მმართველი პარტია საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

სოსო გოგაშვილი პოლიტიკაში მიდის

სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი პოლიტიკაში მიდის. როგორც გოგაშვილი აცხადებს, გადაწყვიტა სახალხო პარტიაში დაბრუნდეს, სადაც, მისივე განმარტებით, „პირველი პოლიტიკური გამოცდილება მიიღო“.

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი – ასე იწყება ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია. სწორედ ამ იდეას, რომ ქართველი ხალხი ვიყოთ ხელისუფლების წყარო, არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეროვნული მოძრაობის წევრთა თავგანწირვამ, თავისუფლებას მოწყურებული ხალხის პროტესტმა და დაუნდობელი სისტემის წინააღმდეგ დაუღალავმა ბრძოლამ დამოუკიდებლობისთვის, მოგვაპოვებინა უფლება, გვქონდეს კონსტიტუცია, სადაც ასახულია ქართველი ხალხის ურყევი ნება – დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. მრავალი თქვენგანის მსგავსად, მეც, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ეროვნული მოძრაობის მუხტით ვიყავი ანთებული. 27 წლის წინ კი, გამოუცდელი ახალგაზრდა პატარა ბიჭი, აქტიურად ჩავერთე პოლიტიკურ პროცესებში. გავხდი „სახალხო პარტიის“ წევრი, სადაც აწ გარდაცვლილი დისიდენტის – მარიკა ბაღდავაძის რეკომენდაციით მივედი და ეროვნული მოძრაობის ლიდერების გვერდით მეც ვცდილობდი, ქვეყნის სასიკეთოდ ერთი პატარა აგური დამედო.

მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, 30 წელზე მეტია, რაც ქართული სახელმწიფო ერთ მოჯადოებულ წრეზე ბრუნავს, სადაც ვკარგავთ ტერიტორიებს, ვკარგავთ ღირებულებებს, ვკარგავთ სილაღეს და ეტაპობრივად იმატებს რისკებიც; ამავდროულად, თითქოს პერიოდულად იხსნება სინათლის კარი, თუმცა ამ მორევიდან ვერ ამოვდივართ.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, მარტინ ლუთერ კინგის მსგავსად, 2012 წლის გარიჟრაჟზე, მეც მქონდა ოცნება, რომ უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებდით, სადაც დემოკრატია, სამართლიანობა და თანასწორობა იზეიმებდა. გამოჩნდა თითქოს კიდევ ერთი იმედის ნაპერწკალი წლების შემდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი და ჩემი თანამოაზრეების ეს ოცნება „ოცნებამვე“ დაანგრია. ისევ იმ მორევმა ჩაგვითრია, სადაც ბედნიერად თავს მხოლოდ ერთეულები გრძნობენ.

ვთვლი, რომ ახლა, ჩემი მხრიდან მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით ყოფნა დანაშაულის ტოლფასია. გადავწყვიტე დავბრუნდე სახალხო პარტიაში, სადაც პირველი პოლიტიკური გამოცდილება მივიღე. პარტიაში, სადაც კვლავ ცოცხალია ეროვნული მუხტი და იდეალები. პარტიაში, რომლის თავმჯდომარეც და ძველი წევრებიც სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ იმისთვის, რომ საქართველოს კონსტიტუცია ამაყად დაწყებულიყო სიტყვებით: ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი! მათ ეს შეძლეს და მჯერა, რომ დღესაც, ჩვენ ერთად შევძლებთ ხელისუფლების წყაროდ კვლავ ვაქციოთ ხალხი.

თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ სვლა რთული გზაა, მაგრამ ახლა ცვლილებების დროა – ამგვარი ლოზუნგის გაჟღერების ფუფუნება ყველა დემოკრატიულ ქვეყანას აქვს. მე კი გეტყვით, რომ საქართველოში ახლა ხალხის დროა! იმ ხალხის დროა, ვინც საქართველოს პატრიოტია! ღაღი და ბედნიერი ახალგაზრდობის დროა! იმ ხალხის დროა ვინც იბრძოლა ქართული მიწის დასაცავად! იმ ხალხის დროა, ვინც იბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და დღეს იმსახურებს ღირსეულ სიბერეს! ღირსეულების დროა! ხალხის თავისუფალი არჩევანის დროა – სახალხო პარტია №44“, – წერს სოსო გოგაშვილი „ფეისბუქში“.

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „სოსო გოგაშვილის პოლიტიკაში ყოფნა სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი იქნება“



სოსო გოგაშვილის პოლიტიკაში წასვლას სპეცოპერაციის დროს მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი ეხმიანება.

მაჩალიკაშვილი ამბობს, რომ გოგაშვილის პოლიტიკაში ყოფნა სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი იქნება.

– მისი პოლიტიკაში მოსვლა და მისი პოლიტიკაში ყოფნა, ეს არის ამ სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი. ქართული საზოგადოება გოგაშვილსა და გოგაშვილისნაირებს პოლიტიკაში ვერ მიიღებს და მისგან არც პოლიტიკოსი დადგება, არც ჩინოვნიკი დადგება და არც რომელიმე სტრუქტურის ხელმძღვანელი დადგება. მისი საქმე წასულია. ეს განცხადება, რასაც ახლა აკეთებს, ეს არის, რომ უბრალოდ არ დარჩეს რადარების მიღმა, – ამბობს მაჩალიკაშვილი.

ახალციხელი მასწავლებლები ბიძინა კულუმბეგოვმა და სხვა ექიმებმა აცრეს

გაეროს ბავშვთა ფონდის ფარგლებში კოვიდ 19-ის ვაქცინაციის შესახებ კიდევ ერთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა – ამჯერად ახალციხის სკოლების 60-მდე მასწავლებელსა და ადმინისტრაციის წარმომადგენელს ჯანდაცვის ცნობილი ექსპერტები შეხვდნენ და ვაქცინაციის მნიშვნელობის და ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

შეხვედრის შემდეგ დამსწრეთა უმრავლესობამ ჩაიტარა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

„შეხვედრებზე, რომლებიც წინ უძღოდა ვაქცინაციას, წამყვანმა ექიმებმა და ჯანდაცვის ექსპერტებმა უპასუხეს აუდიტორიის კითხვებს მთელ რიგ საკითხებზე, როგორიცაა: კოვიდ-19 საქართველოში და მასთან დაკავშირებული გლობალური ტენდენციები, რისკები და პრევენციული ზომები; იმუნიზაციის მნიშვნელობა და კოვიდ-19-ის გართულებები ბავშვებში; ალერგიების, ასევე გულისა და სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების ვაქცინაცია. ღონისძიება მიზნად ისახავდა ვაქცინაციის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფის ინფორმირებას, როგორიცაა მასწავლებლები და მათ ჩართვას ვაქცინაციის პროცესში.

საინფორმაციო შეხვედრებს უძღვებოდნენ ცნობილი ექიმები და ეპიდემიოლოგები: ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი ბიძინა კულუმბეგოვი; სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული განყოფილების ხელმძღვანელი ივანე ჩხაიძე, კარდიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, გულის უკმარისობის ასოციაციის პრეზიდენტი ზვიად ყიფიანი და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ხათუნა ზახაშვილი“, – ნათქვამია იუნისეფის განცხადებაში.

ალერგიულ პაციენტებს ვაქცინაციის ცენტრებიდან უკან აბრუნებენ

არის თუ არა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს უარს ეუბნებიან ამცრელი ბრიგადები ვაქცინაციაზე სხვადასხვა მიზეზით?

ალერგოლოგ-იმუნოლოგი, კლინიკა „ნეოლაბის“ დირექტორი ამბობს, რომ ეს საკმაო პრობლემას წარმოადგენს და წარსულში ალერგია ვაქცინაციის წინააღმდეგ ჩვენება არ არის.

გიორგი კამკამიძე განმარტავს, რა შემთხვევაში არ უნდა აიცრან მოქალაქეები და რა პროტოკოლი მოქმედებს ამ მიმართულებით. კამკამიძე ამბობს, რომ უკუჩვენება არის, როდესაც მძიმე ალერგიული რეაქცია გამოვლინდა აცრის პირველ დოზაზე.

– ძალიან დიდი პრობლემაა, როდესაც უკან აბრუნებენ ვაქცინაციის ცენტრებიდან წარსულში ალერგიის მქონე პაციენტებს. კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ, რომ ალერგია წარსულში არ არის წინააღმდეგ ჩვენება ვაქცინაციის. ერთადერთი სრული წინააღმდეგ ჩვენება, აბსოლუტური უკუჩვენება – ეს არის მძიმე ალერგიული რეაქცია წინა დოზაზე, ანუ შემდეგ დოზას ამ შემთხვევაში არ ვაკეთებთ. თუმცა არის კვლევები, როგორ უნდა გავაკეთოთ შემდეგი დოზა, თუნდაც პაციენტების ასეთ ჯგუფში. არის ისეთი სია დაავადებების და ეს იციან ადგილებზე, სადაც უბრალოდ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და, მაქსიმუმ, ეს სიფრთხილე არის 30-დან 45 წუთამდე დაყოვნება ადამიანის ვაქცინაციის ცენტრში. არამცდაარამც არ უნდა გამოაბრუნონ პაციენტები რაღაც გაურკვეველი ანალიზების გასაკეთებლად ალერგიის კუთხით ან თუნდაც კონსულტაციისათვის, – აცხადებს გიორგი კამკამიძე.

თიკო აბაშიძე: „გოგონამ გვითხრა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი იყო მამის მხრიდან“

რა მოხდა აჭარაში

აჭარაში 50 წლამდე მამაკაცს საკუთარი 15 წლის შვილი გაუპატიურებაში ადანაშაულებს. გოგონა ჩვენებაში ძალადობის არაერთ ფაქტზე საუბრობს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს – ბათუმის სასამართლო საქმის არსებით განხილვას იწყებს.

ბრალდებული თავის ოთხ შვილთან ერთად აჭარის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა. მოზარდი ახლა დროებით თავშესაფარში იმყოფება. დაკავებული მამაკაცი წარდგენილ ბრალს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

არასრულწლოვანმა ფონდ „იალქანს“ მიმართა. ფონდის დირექტორი თიკო აბაშიძე აცხადებს, რომ ინფორმაციის გაგების შემდეგ პოლიციას დაუკავშირდნენ.

– ბავშვმა ჩვენთან და ფსიქოლოგთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი იყო მამის მხრიდან. მან აღნიშნა, რომ ეს წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ჩვენ ვენდობით არასრულწლოვნის სიტყვას და შესაბამის რეაგირებას ველოდებით სასამართლოდან, – აღნიშნა აბაშიძემ.

სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ 15 წლის მოზარდს მოსწავლის სტატუსი შეჩერებული აქვს, რადგან მოზარდი ხშირად აცდენდა სკოლას. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, დირექტორს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს.

ბრალდებულის ადვოკატი თეიმურაზ ნასარაია აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს.

– თავს დამნაშავედ არ ცნობს და გაოგნებულია. ოთხი შვილი გაზარდა დედის გარეშე ამ მამამ. მოწმეთა ჩვენებები არის საქმეში, რომლებიც ისეთ გარემოებებს ასახელებენ, რომ შესაძლოა მისი ეს ჩვენება გაბათილდეს, – აღნიშნავს ადვოკატი.

ბათუმის სასამართლო საქმის არსებით განხილვას უახლოეს დღეებში დაიწყებს. დაკავებულ მამაკაცს კი თუ ბრალი დაუმტკიცდა, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

38 წლის ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე დავით დვალიძეს ბრალი წარედგინა

პროკურატურამ 38 წლის ქალის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე დავით დვალიძეს ბრალდება წარუდგინა.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 9 აგვისტოს ქ.თბილისში დ.დ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით და განსაკუთრებული სისასტიკით მის ნაცნობ ქალს, 38 წლის მ.მ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში დანით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად მ.მ.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა დ.დ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შს მინისტრმა სუსის უფროსთან ერთად შინდისში 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, მოადგილეებთან ერთად, შიდა ქართლის რეგიონში, სოფელ შინდისში ჩავიდნენ და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

სოფელ შინდისში დაღუპული გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა. გმირების მემორიალთან, დაღუპულთა ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ. ვახტანგ გომელაურმა დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო და მათ ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა, გმირების გაზრდისთვის კი მათ მშობლებს მადლობა გადაუხადა.

– 2008 წლის აგვისტო სრულიად საქართველოსთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის ნამდვილად უმძიმესი იყო. მძიმე იყო ზუსტად ამ რეგიონისთვის, გორისთვის, მიმდებარე სოფლებისთვის და იმ დაკარგული ორასამდე სოფლის მცხოვრებლებისთვის, ჩვენი მოქალაქეებისთვის, ვინც თავიანთი მამაპაპეული სახლები დატოვეს და წამოვიდნენ დევნილებად.

დაიღუპნენ სამოქალაქო პირები და დაიღუპნენ ეს ჩვენი გმირები, რომლებმაც თავის შესწირეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

შინდისის ბრძოლა ერთ-ერთი განსაკუთრებული ბრძოლა იყო. ნამდვილად მძიმეა ამაზე საუბარი, როდესაც მოუსმენ, უყურებ ფილმს. რაც ამ ბიჭებმა გააკეთეს – შესწირეს თავიანთ ქვეყანას თავი, არ არის ეს ადვილი გასაკეთებელი და ამ ბიჭებმა, ამ ვაჟკაცებმა, ამ გმირებმა ნამდვილად ახალი ისტორია – გმირობის ისტორია დაწერეს. დიდი მადლობა და ქედს ვიხრი ნამდვილად ამ გმირების წინაშე, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინდისის ბრძოლიდან 13 წელი გავიდა. 2008 წლის 11 აგვისტოს რუსულ სამხედრო ნაწილთან შეტაკების დროს 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

აჭარაში 10 ფიზიკური და იურიდიული პირი დაჯარიმდა

შრომის ინსპექციის სამსახურმა, სხვა ზედამხედველ უწყებებთან ერთად, კოორდინირებული მუშაობის შედეგად აჭარის რეგიონში აკრძალული საქმიანობის ფაქტები გამოავლინა.

განმავლობაში, დაჯარიმდა 10 ფიზიკური და იურიდიული პირი. მათგან 2-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა. აკრძალული საქმიანობის გამოვლენის პროცესში, შრომის ინსპექციასთან ერთად შსს-ს კრიმინალური და საპატრულო პოლიცია, შემოსავლების, სურსათის უვნებლობის და ადგილობრივი მუნიციპალური საზედამხედველო სამსახურები არიან ჩართული.

– შეზღუდვებზე კონტროლის გამკაცრების საპასუხოდ, ჯგუფები დაწესებული შეზღუდვების აღსრულებას მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფენ. ოპერირება ყველა რეგიონულ ცენტრში ხორციელდება, – აცხადებენ უწყებაში.

საგამოძიებო სამსახურმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე 1 პირი ამხილა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე ერთი პირი ამხილეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, სამეწარმეო საქმიანობისთვის დადგენილი შესაბამისი გადასახადებისა და მოსაკრებლისათვის თავის არიდების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკში ვალუტის გადამცვლელი პუნქტის სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე, ყაზბეგის რაიონში ახორციელებდა ეროვნული და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით როგორც ქართული, ასევე უცხოური ვალუტა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით.

განზრახ მკვლელობასა და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულებს 4 და 18 წელი მიესაჯათ

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ზ.ზ. და ამავე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 14 ნოემბერს ქ. ქუთაისში, მდინარე რიონის სანაპიროსთან, ზ.ზ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, გ.მ.-ს მკვრივი ბლაგვი საგნის მრავალჯერადი დარტყმით თავისა და სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენა და შემდეგ ცეცხლი წაუკიდა.

როგორც პროკურატურაში აღნიშნავენ, მიღებული დაზიანებების შედეგად გ.მ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ზ.ზ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ზ.ზ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ცნობილი გახდა გ.გ.-სთვის, რომელმაც მომხდარის შესახებ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს.

სამართალდამცველებმა ზ.ზ. და გ.გ. 2020 წლის 16 ნოემბერს დააკავეს. ზ.ზ-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით), ხოლო გ.გ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინათ. ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ზ.ზ. და გ.გ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ზ.ზ.-ს – 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გ.გ.-ს 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გრიგოლ ლილუაშვილი: „სუსის მიერ გამოძიების დაწყების საფუძველი ოპერატიული ინფორმაციაა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, გრიგოლ ლილუაშვილი ამბობს, რომ უწყების მხრიდან „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის დარღვევის ფაქტზე გამოძიება სუსის ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

როგორც ლილუაშვილი განმარტავს, გამოძიება სოციალურ ქსელში გასაჯაროებულ დოკუმენტებს უკავშირდება, რომლებიც საიდუმლოების ნიშნებს შეიცავს.

– გამოძიების საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონკრეტული დოკუმენტების საჯარო სივრცეში გამოქვეყნებას, რომელიც შეიცავს საიდუმლოების ნიშნებს. თუმცა ეს არის სავარაუდო ვერსია, ვინაიდან გამოძიების დასრულების შემდეგ უკვე გვექნება ზუსტი ინფორმაცია, რა როგორ.

ეს უკავშირდება იმ დოკუმენტებს, რომლებიც სოციალურ ქსელებში იქნა გამოქვეყნებული, – თქვა გრიგოლ ლილუაშვილმა.

გამოძიების ფარგლებში, უწყებაში დაიბარეს „სამოქალაქო განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ხელმძღვანელები. გიორგი ყუფარაძის დაკითხვა სუს-ში გუშინ, 11 აგვისტოს, ჩატარდა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები მათ მიმართ დაწყებულ გამოძიებას პოლიტიკურ დევნას უკავშირებენ.

4 დღის წინ დაკარგული 66 წლის ქალი ტყეში ცოცხალი იპოვეს

მეხანძრე-მაშველებმა სოფელ გოსტიბეში გაუჩინარებული 66 წლის ქალი უვნებლად იპოვეს. საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, ქალი სახლიდან 7 აგვისტოს გავიდა, რის შემდეგაც ოჯახის წევრებისთვის მისი კვალი დაიკარგა.

ტერიტორიაზე არსებული ხევებისა და ტყის მასივების დათვალიერების შედეგად, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაუჩინარებული ქალის ადგილსამყოფელი იპოვეს.

მეხანძრე-მაშველებმა ქალბატონი უსაფრთხო ადგილზე გამოიყვანეს. მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, – წერია უწყების განცხადებაში.

ადგილობრივების ინფორმაციით, ქალი საქონლის მოსაყვანად 7 აგვისტოს წავიდა და სახლში აღარ დაბრუნებულა.

გურჯაანში ჭაში მამაკაცი გაიგუდა

გურჯაანის მუნიციპალიტეტში გუშინ, 11 აგვისტოს, უბედური შემთხვევა მოხდა.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, გზაზე არსებულ რამდენიმე მეტრის სიღრმის ჭაში წყლის სისტემის გადასართველად 62 წლის კაცი ჩავიდა და ამოსვლა ვერ მოახერხა, რის შემდეგაც გაიგუდა.

მისი დახმარება შვილმა ცადა, თუმცა ვერ შეძლო. 40 წლამდე კაცი კი გურჯაანის ჯეო ჰოსპიტალში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს.

ადგილზე ყველა შესაბამისი სამსახური იყო მობილიზებული.

შსს-ს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების მასობრივი აცრის პროცესი კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით აქტიურად გრძელდება, როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში არსებულ იმუნიზაციის ცენტრებში.

„თბილისის ზღვის პლაზაში“ გახსნილ

იმუნიზაციის ცენტრში ამჯერად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ვაქცინაცია.

თბილისსა და რეგიონებში იმუნიზაციის ცენტრებში მოწყობილია ვაქცინაციის კაბინეტები, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით არის აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან „ფაიზერის“, „სინოვაკის“ ან „სინოფარმის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე სამინისტროს თანამშრომლების ნახევარზე მეტი უკვე ვაქცინირებულია.

მანქანა საზამთროს ჯიხურთან მამა-შვილს დაეჯახა

გუშინ, 11 აგვისტოს, გურჯაანის მუნიციპალიტეტში ავარია მსხვერპლით დასრულდა.

სოფელ ჭანდარში გურჯაანის მიმართულებით მოძრავი მსუბუქი ავტომობილი საპირისპირო მხარეს საზამთროს გასაყიდ ჯიხურთან მდგარ მამა-შვილს დაეჯახა.

შედეგად 42 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მამა სხეულის მრავლობითი დაზიანებებით „ჯეოჰოსპიტალსში“ მოათავსეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

აზერბაიჯანმა ირანს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა

აზერბაიჯანში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და საპროტესტო ნოტა გადასცეს.

ელჩს ესაუბრნენ ირანის კუთვნილი სატვირთო მანქანების ყარაბაღში უკანონოდ გადაადგილების ფაქტებზე და ამასთან დაკავშირებით საპროტესტო ნოტა გადასცეს.

– შეხვედრისას აღინიშნა, რომ ირანის ახალი ადმინისტრაცია გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს ამგვარი შემთხვევების აღსაკვეთად, რომლებიც არღვევს და არ შეესაბამება ორ ქვეყანას შორის ახლომეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების სულისკვეთებას, – განაცხადეს აზერბაიჯანის საგარეო უწყებაში.

უკრაინამ საგანგებო მდგომარეობა 1 ოქტომბრამდე გაახანგრძლივა

უკრაინის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა 1 ოქტომბრამდე გახანგრძლივდა.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– ეპიდემიოლოგიური სიტუაცია სრულად კონტროლდება, მაგრამ, სამწუხაროდ, სპეციალისტები აფიქსირებენ პირველ ნეგატიურ ტენდენციას მძიმე ავადმყოფების ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ, ვითარების გათვალისწინებით, მთავრობა იღებს დადგენილებას, რომლითაც საგანგებო მდგომარეობას ახანგრძლივებს 1 ოქტომბრამდე, – განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, გასული კვირის განმავლობაში ქვეყანაში დაახლოებით 1 მილიონი ვაქცინაცია ჩატარდა.

ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრ ვიქტორ ლიაშკოს თქმით კი ამჟამად ჯანდაცვის სისტემაზე ზეწოლა რჩება კონტროლირებადი, რის გამოც ქვეყანა კვლავაც ეპიდემიოლოგიური საფრთხის მწვანე დონეზე რჩება.

გერმანიაში 1 დღე-ღამეში 4.996 ადამიანი დაინფიცირდა, 17 გარდაიცვალა

ბავარიის ფედერალური მიწის პრემიერ-მინისტრი მარკუს სოდერი აცხადებს, რომ გერმანიაში პანდემიის მეოთხე ტალღა გარდაუვალია.



– მეოთხე ტალღა გვიახლოვდება და შემოდგომაზე აუცილებლად მოაღწევს. ინფექციის ამჟამინდელი მაჩვენებლები უყურადღებობის საფუძველს არ გვაძლევს, – განაცხადა სოდერმა.

პრემიერმა საზოგადოებას კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრის გაკეთებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითი უნდა იყოს, თუმცა იმ მოქალაქეებმა, რომლებიც აცრაზე უარს აცხადებენ, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, გადასახადების გადამხდელები კი მათი კოვიდტესტების საფასურს სამუდამოდ ვერ დაფარავენ.

გუშინ, 11 აგვისტოს, გერმანიაში კორონავირუსის 4.996 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც უდიდესი დღიური მაჩვენებელია მაისის შემდეგ. ამასთან, ვირუსს კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გიდი გრიზლის აუღელვებლად მიესალმა და დათვი წყნარად გაეცალა ტურისტებს

ამერიკის ლიასკას შტატის კატმაის ეროვნულ პარკში ტურისტების ჯგუფის თანმხლები გიდი აუღელვებლად მიესალმა უზარმაზარ დათვს.

ტურისტმა კარა სიცილიანომ ტელეფონით გადაიღო ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ მიდი-მოდის ტურისტების ჯგუფის სიახლოვეს უზარმაზარი გრიზლი, ამ დროს კი გიდი ცხოველს აუღელვებლად ესალმება. კადრში ისმის, თუ როგორ ეუბნება გიდი დათვს: „გამარჯობა, ყმანვილო!“

სიცილიანოს თქმით, ის მეგობრებთან ერთად ბილიკზე მიდიოდა, როდესაც მოულოდნელად მათ ზურგს უკან დათვი გამოჩნდა. ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით, რომელსაც უამრავჯერ უტარებია ტურისტები ეროვნული პარკის ბილიკებზე, მსგავსი რამ ცხოვრებაში არ უნახავს.

მამაკაცი მტაცებელს მშვიდი, წყნარი ხმით ესაუბრებოდა, რათა მისი პროვოცირება არ მოეხდინა. ცხოველი, რომელსაც მანამდე სხვა დათვთან ჰქონდა დაპირისპირება, მშვიდად მივიდა ნიშანთან, რომელიც ამ ადგილებში სწორედ დათვების არსებობაზე აფრთხილებდა ტურისტებს, შემდეგ შეტრიალდა და მიიმალა. სანამ გიდი დათვს ესაუბრებოდა, ტურისტების ჯგუფი მშვიდად იდგა. ექსპერტების აზრით, ეს სრულიად სწორი ქცევა იყო ასეთ სიტუაციაში.

კენგურუებმა ავსტრალიელის ეზოში ორთაბრძოლა გამართეს

ავსტრალიის მკვიდრმა ვიდეოზე გადაიღო ორი კენგურუ-ვალაბის საკუთარი სახლის უკანა ეზოში მომხდარი დაპირისპირება.

კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენის მკვიდრმა კეისი შოლტენმა განაცხადა, გაიგონა, როგორ აყეფდნენ ძაღლები მისი სახლის უკანა მხარეს. ის გაემართა იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა და იქ ორი კენგურუ-ვალაბი აღმოაჩინა, რომლებიც ერთმანეთს ეზოში კალათბურთის ფართან ეჩხუბებოდნენ. ცხოველები კუდზე დგებოდნენ და ერთმანეთს თათებს ურტყამდნენ. ერთ მომენტში ერთ-ერთმა ძლიერი დარტყმით მეტოქის მიწაზე დაგდება მოახერხა, მაგრამ ის სწრაფად წამოხტა და ისევ მოწინააღმდეგეს ეკვეთა.

შოლტენმა ამ ყველაფერთან დაკავშირებით იხუმრა, როგორც ჩანს, კენგურუებმა 2032 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება დაიწყეს, რომელიც სწორედ ბრისბენში, მისი სახლიდან სულ რაღაც 20 წუთის სავალზე მდებარეობს.

საბოლოოდ ცხოველები მახრჩობელა ილეთებზე გადავიდნენ. ბოლოს ერთ-ერთმა დამარცხება ძირს დაცემით აღიარა. შემდეგ ორივემ იქვე ახლოს მდებარე ტყეს მიაშურა.

ვოლიერს თავდაღწეულმა ვეფხვმა საფარი-პარკის თანამშრომელი დაგლიჯა

ჩილეს ქალაქ რანკაგუას საფარი-პარკში ვეფხვმა დაწესებულების თანამშრომელი იმ დროს დაგლიჯა, როდესაც ის ტერიტორიას ალაგებდა.

პარასკევს, 6 აგვისტოს, საფარი-პარკის თანამშრომელი, რომლის ვინაობა ადგილობრივ პოლიციას არ დაუდგენია, დალაგებით იყო დაკავებული. პარკის ტერიტორიაზე პერსონალის მუშაობის დროს ცხოველებს ვოლიერებში კეტავენ. აქედან გამომდინარე ქალი დარწმუნებული იყო, რომ ცხოველები ჩაკეტილები იყვნენ და მას საფრთხე არ ემუქრებოდა.

თუმცა მოულოდნელად მას ვეფხვი დაესხა თავს. მტაცებელი ცხოველი ვოლიერიდან გამოვარდა და ქალს თათით კისერში ძლიერი დარტყმა მიაყენა. რანკაგუას პოლიციის თანამშრომლის უილიამს ესპინოზას თქმით, პარკის თანამშრომელი იმ წამსვე დაიღუპა.

– ის ვერ მიხვდა, რომ მტაცებლის გალიის კარი ღია იყო დარჩენილი. ვეფხვი მას სწრაფად და მოულოდნელად დაესხა თავს და ქალი ადგილზევე დაიღუპა, – განმარტა ესპინოზამ.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო, ხოლო საფარი-პარკი დროებით დაიხურა. დაწესებულების ადმინისტრაციამ მომხდარზე კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

კუნძულებზე ორი დღით გამგზავრებული გოგონა იქ წლინახევრით ჩარჩა

ინგლისის მერსისაიდის საგრაფოს ქალაქ კროსბის მკვიდრმა 27 წლის ზოი სტივენსმა 2020 წლის მარტში გადაწყვიტა დასვენების დღეებში ტონგას კუნძულებზე გამგზავრებულიყო და იქ წლინახევრით ჩარჩა.

იმის გამო, რომ გოგონას გამგზავრება კორონავირუსის პანდემიის გამო მთელ მსოფლიოში შემოღებულ მგზავრობებზე შეზღუდვებს დაემთხვა, მან დიდ ბრიტანეთში დაბრუნება ვეღარ მოახერხა.

– ფაქტიურად კუნძულებზე გავიჭედე იმის გამო, რომ დიდი ბრიტანეთი ხან აწესებდა გადაადგილებებზე შეზღუდვებს, ხან აუქმებდა. სწორედ ამიტომ აქ დარჩენა გადავწყვიტე, – განაცხადა სტივენსმა.

ტონგაში გატარებული თითქმის 18 თვის მანძილზე გოგონამ ციკლონის გამო ნივთების ნაწილი დაკარგა, ასევე დაკარგა სამსახური და დისტანციურად მიიღო მაგისტრის ხარისხი. უფრო მეტიც, გოგონამ საქველმოქმედო მარათონს გაუკეთა ორგანიზება ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად ფიზიკური ვარჯიშების და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე. ასევე, ტონგოს ბინადარი ცხოველების დასახმარებლად თანხის შესაგროვებლად.

– ტონგა არის სამეფო, სადაც ყველაზე მეტი ჭარბწონიანი ადამიანი ცხოვრობს. კუნძულების მრავალ მკვიდრს აწუხებს მეორე ხარისხის დიაბეტი და მთელ ქვეყანაში ერთი მაღალკვალიფიციურ ვეტერინარსაც ვერ ნახავთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ ორი პრობლემის გაერთიანება, – განმარტა სტივენსმა.

უცნობის მიერ შეშინებული მძღოლი ქალი კლდიდან გადაიჩეხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის მკვიდრი ქალი ავტომობილით კლდიდან მას შემდეგ გადაიჩეხა, რაც ის უცნობი მამაკაცის დანახვამ შეაშინა.

5 აგვისტოს, საღამოს, ქალმა ავტომობილი მარკ ებოტის შუქურის მემორიალის მახლობლად გააჩერა და მონტერეის ყურის პეიზაჟის ცქერით ტკბებოდა. ამ დროს უცნობმა მამაკაცმა მისი მანქანის კარი გამოაღო, რითიც ქალი ძალიან შეაშინა.

შეშინებული ქალი პანიკამ მოიცვა, ფეხი მანქანის სატერფულს დააჭირა, რის შედეგადაც ავტომობილი კლდიდან გადავარდა.

პოლიციამ მომხდარი უბედურ შემთხვევად შეაფასა. მამაკაცს, რომელმაც ქალის მანქანის კარი გამოაღო, სწორედ ისეთივე ავტომობილი იქვე ახლოს ჰყავდა გაჩერებული და სიბნელეში მანქანები აერია.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად ქალმა ფეხებზე უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო, ხოლო პოლიციამ დაზიანებული ავტომობილის ამოყვანა ევაკუატორის დახმარებით მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაშა ბუღაძე: „გია ყანჩელი ბიოგრაფიული კომპოზიტორია“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

განუზომელ სიამოვნებას მოგანიჭებს, თუკი მასთან ერთად და მისი რიტმით, მისი დროით ისწავლი ფიქრს. ეს კი ხშირად არცთუ ადვილი ამოცანაა, რადგან თითქოსდა გამჭვირვალე, ერთი ნახვით შეყვარებისთვის განწირული, დახვეწილ-მელანქოლიური თეატრალურ-კინომუსიკალური შედევრების თემებიც კი, რომელთა მელოდიური ნამსხვრევები მოგონებების სურათხატებივით გაიელვებენ ხოლმე მისსავე უნიკალურ სიმფონიებში, გრანდიოზულ კანტატებსა თუ ბრძნული იგავებივით მრავლისმომცველ მინიატურებში, მისი დიდი და რთული მუსიკალური სამყაროს ნაწილია.



მართალია, ეს გაცვეთილი კლიშეა, მაგრამ სწორედ უნივერსალურობა და, ამავდროულად, შემაშინებელი ინტიმურობა აქცევს ყანჩელს ყველა დროის საუკეთესო ქართველ და თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორად, რადგან მის ენას, მუსიკალურ ენას, თარგმნა არ სჭირდება.

ქართულ მუსიკაში ამგვარი უნივერსალურობის მაგიის მატარებელი, ალბათ, სწორედ ყანჩელის შემოქმედება და ქართული მრავალხმიანობაა, რომელიც, კომპოზიტორისავე აზრით, საავტორო იყო და არა აბსტრაქტული ხალხის, ანუ ამორფული „კოლექტივის“ მიერ შექმნილი, ისევე, როგორც შეუძლებელია, ხალხს შეექმნა ყინწვისის ანგელოზი და არა უცნობ გენიოსს, რომლის ვინაობაც, უბრალოდ, არ ვიცით.

ზაქარია ფალიაშვილმა მეოცე საუკუნის ქართული მუსიკალური ტონალობა განსაზღვრა, ხოლო გია ყანჩელმა ქართული მუსიკალური აზროვნება აქცია ზოგადსაკაცობრიო მოვლენად. ეს ორი კომპოზიტორი არაფრით ჰგავს ერთმანეთს, არც სტილით, არც პათოსით, მაგრამ ორივეს უმნიშვნელოვანესი მისია ერგო მეოცე საუკუნის ქართულ კულტურაში – პირველს – საწყისის განსაზღვრის, მეორეს – განვრცობა-უნივერსალიზაციის.

ჩემი აზრით, ისინი კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო ინდივიდუალური მახასიათებლით არიან ერთმანეთის მსგავსნი – მორალური თანმიმდევრულობით, ანუ, მარტივად, სამოქალაქო წესიერებით.

და, შესაძლოა, სწორედ მორალურობა, ზნეობრივი ადეკვატურობა იყო იმის მიზეზი, რომ ყანჩელი თითქოსდა მარტო დარჩა თავისი თაობის და არა მხოლოდ თავისი თაობის ამდენ „ცნობიერებააღრეულ“ თუ მორალის კუთხით დეგრადირებულ ადამიანს შორის – აკი თვითონვე ამბობდა მისთვის ჩვეული შეფარული ირონიით, რადგან ბევრი აღარავინ ურეკავდა ტელეფონზე, რომ ის ზოგს უკვე გარდაცვლილი ეგონა. ეს კი არა მივიწყების, რაც დაუჯერებელია, რადგან ყანჩელის დავიწყება შეუძლებელია, არამედ სწორედ მისი მორალურ-პერსონალური პოზიციის ადეკვატურობის ლოგიკურ შედეგად მესახება, ანუ სწორედ სიცოცხლის და არა სიცოცხლეშივე სიკვდილის, რადგან, რამდენად ბანალურადაც არ უნდა ჩანდეს ეს აზრი, მართალი ადამიანი ყოველთვის მარტოა, ხოლო გონ და ღირებულებებარეულს, ვულგარულსა და, ზნეობრივი თვალსაზრისით, გაყეყეჩებულ-გადაგვარებულს ყოველდღიურად გარს ეხვევიან აქტიურად მობუყბუყე-მოთუხთუხე ჭაობით მიზიდული სიცრუის მეხოტბე სულელები.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, ბევრია „აქტუალური“, მათ შორის, ისეთი ექსგენიოსებიც, ვინც ოდესღაც ყანჩელთან ერთად ქმნიდა უნივერსალურობაზე პრეტენზიის მქონე შთამბეჭდავ კულტურას – მათთან, ალბათ, „არასდროს წყდება ტელეფონის ზარი“, ისინი ყოველთვის უხერხულ მოვლენათა შუაგულში არიან, თუმცა ეს აქტუალობა ილუზიაა და მთავარს კი კარგა ხანია ვეღარ ფლობენ – სინამდვილისა და სიცრუის გარჩევის უნარს და ახლა კი საერთოდ თავადვე ქცეულან სიცრუისა და უპერსპექტივობის ანგარებიან მქადაგებლებად.

ყანჩელი კი მარტოა, რადგან, როგორც ჩანს, ჭეშმარიტებასთან სიახლოვე მარტოობას გულისხმობს, სიჩუმეს, ტყუილს კი ხმაური უყვარს, რაც ყანჩელს არასდროს ჰყვარებია, თუმცა ეს სწორედ იმგვარი მარტოობაა, რომელიც, რიხარდ ვაგნერის აზრით, უკვდავების საწინდარია: როცა მთავრდება ცხოვრება, ხელოვნების სიმართლე იწყება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა მომგებიანი ციფრები ყურადღებით შეისწავლა და ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ როზვილის მკვიდრმა ყურადღებით შეისწავლა მომგებიანი ციფრები და ჯეკპოტი, 376,5 ათასი დოლარი, მოხსნა.

59 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მომგებიანი ციფრების გულდასმითი ანალიზი ჩაატარა, შემდეგ შეიძინა ლატარიის ბილეთი, რომლის გათამაშება 31 ივლისს შედგა.

– ლატარიის ბილეთს მაშინ ვყიდულობ, როდესაც დიდი საპრიზო ფონდი გროვდება. ადრე ციფრებს შემთხვევით ვარჩევდი, მაგრამ შემდეგ მათი შესწავლა დავიწყე იმის გასარკვევად, თუ რომლები ამოდიოდა ყველაზე ხშირად და ამან იმუშავა, – განაცხადა ამერიკელმა, რომელსაც მოგება მოუტანა შემდეგმა ციფრებმა: 05, 07, 18, 36, 38.

მამაკაცის თქმით, გათამაშების მიმდინარეობას ტელევიზორში ადევნებდა თვალს. ამოსული ციფრები მას ნაცნობ რიცხვებად მოეჩვენა. ბილეთი შეამოწმა და მიხვდა, რომ გათამაშების გამარჯვებული გახდა. ის მოგებული თანხის მომავალში ინვესტირებასა და სამოგზაუროდ წასვლას აპირებს.

ძაღლი ახალ პატრონს გამოექცა და სამი წლის შემდეგ ძველ პატრონს დაუბრუნდა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პენსაკოლაში ძაღლი თავის ადრინდელ პატრონებს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, ის ახალი პატრონისთვის მიეცათ, სამი წლის განშორების შემდეგ დაუბრუნდა.

ლაბრადორის მეტისი, სახელად პაიპერი, არკანზასის შტატში ბეკი ბრაუნის ოჯახში ცხოვრობდა. 2018 წელს ბრაუნის ქმარი, რომელიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს, ხანგრძლივი ვადით გერმანიაში გაემგზავრა. ოჯახი იძულებული გახდა, პაიპერისთვის ახალი პატრონი გამოენახა.

ოჯახის მეგობარმა ცხოველისთვის კანზასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ახალი პატრონი გამოძებნა. თავდაპირველად ბრაუნი ყურადღებას აქცევდა ძაღლს, მაგრამ შემდეგ მის ახალ პატრონთან თანდათან გაწყვიტა ურთიერთობა.

გასული წლის ივნისში ძაღლი ოკლაჰომის შტატის ქალაქ ედმონდში საკუთარი სახლის მახლობლად, გზისპირას ნახა კარლა ოლმსტედმა. მან ცხოველი ვეტერინართან მიიყვანა და იქ შეიტყო, რომ ჩიპი ჰქონდა ჩადგმული. მან მიკროჩიპში მითითებულ ნომერზე დარეკა, მაგრამ დაკავშირება ვერ შეძლო და ძაღლი ერთი თვით დაიტოვა, შემდეგ კიდევ ერთხელ ცადა მის ძველ პატრონებთან დაკავშირება და ამჯერად შეძლო.

საბოლოოდ ოლმსტედმა გადაწყვიტა, პირადად გადაეცა ცხოველი ძველი პატრონებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის 14 საათი ავტომობილით მგზავრობა მოუხდა.

– პაიპერი ცოტა შეცბუნებული იყო. ის ახალ სახლში აღმოჩნდა და არ ახსოვდა ბავშვები, რომლებიც სამი წლის იყვნენ, როდესაც ისინი უკანასკნელად ნახა, – განაცხადა ბრაუნმა და იქვე დაამატა, რომ პაიპერი და ბავშვები ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ.

ქუჩაში მიმავალ მოხუცს შხამიანი გველი ფეხებზე შემოეხვია

ინდოეთში ქუჩაში მიმავალ ხანდაზმულ მამაკაცს მოულოდნელად ფეხზე გველი შემოეხვია. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ შემოეხვია შხამიანი გველი ფეხებზე მოხუც მამაკაცს. ის არ დაიბნა, არც პანიკაში ჩავარდა და შეეცადა, ხელით მოეშორებინა ქვეწარმავლის თავი, მაგრამ რეპტილია კიდევ უფრო მჭიდროდ შემოეხვია ფეხებზე.

მოხუცს გველის მოშორებაში გამვლელი დაეხმარა. ხანდაზმული მამაკაცი შეეცადა, ხელით მოეგრიხა კისერი ქვეწარმავლისთვის, მაგრამ ეს ვერ შეძლო. მაშინ მან გველი მიწაზე დააგდო და ჯოხი დაუშინა. მანამდე ურტყამდა, სანამ ქვეწარმავალმა მოძრაობა არ შეწყვიტა.

ქალმა ქუჩაში გადაგდებული სარბენი ბილიკი იპოვა და წონაში 45 კილოგრამი დაიკლო

აშშ-ში ქალმა, რომელსაც ჭარბი წონა ტანჯავდა, ქუჩაში გადაგდებული სარბენი ბილიკი სახლში მიიტანა და ორ წელიწადში წონაში 45 კილოგრამი დაიკლო.

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ გრინვილის მკვიდრმა კეილინ ჯილიმ აღნიშნა, რომ ზედმეტი წონის გამო თავს მუდმივად გადაღლილად გრძნობდა. ამის გამო მეგობრებთან შეხვედრაზე უარს ამბობდა და ნუგეშს მხოლოდ ტკბილეულის ჭამაში პოულობდა. გარდა ამისა, მას ჯანმრთელობის პრობლემებიც დაეწყო, აეწია სისხლის წნევა და ქოლესტერინის დონე.

ცხოვრების წესის შეცვლა ჯილიმ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ახალ სამსახურში მოეწყო. ერთ დღესაც სახლში მიმავალმა დაინახა, რომ ვიღაცას ქუჩაში დაეტოვებინა სარბენი ბილიკი წარწერით: „უფასოდ“. ქალმა სავარჯიშო მოწყობილობა სახლში მიიტანა და ყოველდღიურად ვარჯიშს შეუდგა.

ქალის აღიარებით, პირველ ხანებში ვარჯიში ძალიან უჭირდა, ვინაიდან მიჩვეული იყო უბრალოდ დივანზე ჯდომას, ტელევიზორის ყურებასა და ჭამას. ჯილიმ იმით დაიწყო, რომ ტელევიზორის ყურებას განაგრძობდა, თუმცა ამ დროს სარბენ ბილიკზე იდგა და დადიოდა. მან შეცვალა კვების რეჟიმიც. თავიდან კერძების ულუფის შემცირება ცადა, თუმცა ამის გამო დილით და საღამოს შიმშილის გრძნობა აწუხებდა, შემდეგ კი დიდი ოდენობით ბოსტნეულით კვებაზე გადავიდა.

რეგულარული ვარჯიშის დაწყებისა და კვების რეჟიმის შეცვლის დღიდან ჯილიმ წონაში 45 კილოგრამი დაიკლო.

– მომემატა საკუთარი თავის რწმენა, გამიუმჯობესდა ჯანმრთელობა, ძილი და კიდევ იმდენი რამ, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდი, – განაცხადა ამერიკელმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

იოსებ ტყემალაძე: „ლევან მაისაშვილის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა“

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ლევან მაისაშვილის ჯანმრთელობაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა.

მაისაშვილს კოვიდ 19 სამხრეთ აფრიკაში საქართველოს ეროვნული გუნდის მსოფლიოს ჩემპიონებთან ტესტების პერიოდში დაუდგინდა. კორონავირუსი რამდენიმე მორაგბესაც დაუდასტურდა. თუმცა, მაისაშვილის მდგომარეობა ძალიან გართულდა, რაც ფილტვების დაზიანებით იყო გამოწვეული.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს კორონავირუსი უკვე თვეზე მეტია დაუდასტურდა და სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში მკურნალობს.

იოსებ ტყემალაძე:

– როგორც იცით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ლევან მაისაშვილი კოვიდინფექციით გამოწვეული გართულებებით უკვე თვეზე მეტია, სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ იოჰანესბურგის კერძო საავადმყოფო „ნეთქეა მილპარკ ჰოსპიტალში“ იმყოფება. მისი მდგომარეობა, სამწუხაროდ, კვლავ კრიტიკულად მძიმეა, თუმცა ჩვენ არ ვკარგავთ მისი გამოჯანმრთელების იმედს. ჩვენს ოპტიმიზმს კი, ლევანის უკომპრომისო ბრძოლისუნარიანობასთან ერთად, მიმდინარე მაღალკვალიფიციური და ყურადღებიანი სამედიცინო მხარდაჭერა გვიძლიერებს.

მინდა, მადლობა გადავუხადო „ნეთქეა ჰოსპიტალის“ ქსელის უმაღლეს მენეჯმენტს მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით ექიმების გუნდს, მათი თავდაუზოგავი შრომისა და დიდი ყურადღებისათვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ უკომპრომისო ბრძოლაში ლევანის მკურნალობას სასურველი შედეგები მოჰყვება. ყველა მეგობარს საქართველოში თუ სამხრეთ აფრიკაში, მოვუწოდებთ, რომ ილოცონ ლევანის ჯანმრთელობისათვის. ქართული რაგბისა და ლევანის ოჯახის სახელით, ასევე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე ქართველ ექიმს – ბატონ ვახტანგ რეხვიაშვილსა და მის ოჯახს, ასევე საქართველოს ელჩს სამხრეთ აფრიკაში ბატონ ბექა დვალს, რომელიც განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან მომენტში პირველივე დღეებიდან გვერდში უდგას ჩვენს დიდ ოჯახსა და ქართულ რაგბის.

გერმანულ დინამოში ქართველი ითამაშებს

საქართველოს ნაკრების 25 წლის მცველი გურამ გიორბელიძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ დრეზდენის დინამოში ითამაშებს.

დრეზდენელებმა ჩვენებური ოფიციალურად წარადგინეს და მასზე გარკვეულ იმედებსაც ამყარებენ.

რალფ ბეკერი, დინამოს მთავარი სპორტული დირექტორი:

– გიორბელიძე ჩვენს ფილოსოფიას როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ განასახიერებს და თამაშის სტილით გამოირჩევა. მოხარული ვარ, რომ ყველა პოზიციაზე ორი ფეხბურთელის შეძენა შევძელით.

გურამ გიორბელიძე:

– მიხარია, რომ საკუთარი შესაძლებლობები ისეთ ძლიერ კლუბში გამოვცადო, როგორიც დრეზდენის დინამოა. მსურს, ნდობა მოედანზე გავამართლო.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებური ავსტრიული ვოლფსბურგის საკუთრებაა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მისი მეორე ბუნდესლიგის კლუბში განათხოვრება გადაწყვიტა.

დრეზდენელები მეორე ბუნდესლიგაში 2 ტურის შემდეგ 4 ქულით მე-3 ადგილზე არიან.

21-წლიანი ეპოქის დასასრული

არგენტინელმა ფეხბურთელმა ლეო მესიმ ბარსელონიდან წასვლის შემდეგ პარი სენ ჟერმენთან კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება 2+1 სისტემით დაიდო და მესის ანაზღაურება ყოველწლიურად 35 მილიონი ევრო იქნება.

34 წლის ფეხბურთელმა პარიზულ კლუბში გადასვლის შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართა. მესი ჟურნალისტების წინაშე კლუბის პრეზიდენტ ნასერ ალხელაიფისთან ერთად წარდგა.

ლეო მესი:

– პარი სენ ჟერმენში გადასვლით ძალიან ბედნიერი ვარ. ბარსელონის დატოვება ჩემთვის ურთულესი იყო, მაგრამ აქ ბედნიერი ვარ. ერთი სული მაქვს, გუნდთან ერთად როდის ვივარჯიშებ, რადგან მინდა, ახალი თანაგუნდელები გავიცნო და კარიერის ახალი ეტაპი დავიწყო. მადლობა პარი სენ ჟერმენის ხელმძღვანელებსა და ყველას იმისთვის, რომ ყველაფერმა მარტივად და სწრაფად ჩაიარა. იმედი და სურვილი მაქვს, რომ გამარჯვებების მოპოვებას გავაგრძელებ. პსჟ ამბიციური კლუბია და შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს. მზად ვართ, ყველა ტიტულისთვის ვიბრძოლოთ. ჩემი მიზანი და ოცნება ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთხელ მოგებაა. პსჟ-ში ბევრი ნაცნობი და მეგობარი მყავს. აქ გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო.

მესიმ კი ბარსელონა 21 წლის შემდეგ დატოვა. ამ დროში არგენტინელმა ყველა საკლუბო ტიტულის მოგება მოახერხა და კლუბის ლეგენდად იქცა.

ბასილაშვილმა ტორონტოს ტურნირი მოგებით დაიწყო

კანადის დედაქალაქ ტორონტოში საჩოგბურთო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 2.850.975 დოლარია.

იქვეა ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელსაც პირველ წრეში მეტოქედ ამერიკელი ჯენსონ ბრუკსი ჰყავდა. მიუხედავად თავდაპირველი ჩამორჩენისა, მატჩი მაინც ჩვენიანის გამარჯვებით დამთავრდა – 2:6, 6:0, 6:4.

მატჩი საათი და 52 წუთი გაგრძელდა. პირველ სეტში ნიკოლოზმა სამჯერ წააგო საკუთარი ჩაწოდება, თუმცა მეორე სეტში სულ რაღაც 22 წუთი დასჭირდა ანგარიშის გასათანაბრებლად – 6:0.

მესამე სეტში ბასილაშვილმა გადამწყვეტი ბრეიკი 4:4-ზე შეასრულა საქმე ბოლომდე მიიყვანა.

მეთექვსმეტედფინალში ნიკას მეტოქე ავსტრალიელი ალექს დე მინაური იქნება, რომელიც რეიტინგის მე-18 ჩოგანია.

შედეგები

10 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

შერიფი-ცრვენა ზვეზდა	1:0
სლავია-ფერენცვაროში	1:0
შახტარი-გენკი	2:1
ლუდოგორეცი-ოლიმპიაკოსი	2:2(4:1პ)
მონაკო-სპარტა	3:1
მიდტიულანდი-პსვ	0:1
იანგ ბოიზი-კლუჟი	3:1
ბენფიკა-სპარტაკი	2:0
ლეგია-დინამო (ზ)	0:1
რეინჯერსი-მალმიო	1:2

უეფას ევროპის ლიგა

ფლორა-ომონია	2:1(4:5პ)
სლოვანი-ლინკოლნი	1:1

უეფას კონფერენციის ლიგა

შახტიორი (ყ)-კოლოსი	0:0(3:1პ)
დომჟალე-რუსენბორგი	1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 2. ქალაქი მესხეთში; 3. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. ვულკანიდან მაგმის ამოფრქვევის პროცესი; 16. ქართველი კომიკოსი; 18. სამონასტრო კომპლექსი ხარაგაულის რაიონში.

თარაზულად: 4. ნავთობის საბადო კახეთში; 6. ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. შემოდგომის ხილი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. დოღი, სადაც სხვადასხვა ასაკის ცხენები მონაწილეობენ; 23. გერმანული ლუდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იდიში; 5. რელე; 6. ლაქშმი; 8. ორტეგა; 11. ენციკლიკა; 13. თურნავა; 14. სუფიქსი; 15. ფოცხოვო; 19. ნიკე.

თარაზულად: 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. შევროლე; 10. ჩექმა; 12. პრესინგი; 16. კაზემირო; 17. იროკეზი; 18. კინგსტონი; 20. კამპუსი; 21. მალა; 22. ოპონენტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რემარკა; 2. პოტომაკი; 3. სიმონია; 5. კიშინიოვი; 7. გერგეტი; 9. პლაცკარტი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. სეიმი.

თარაზულად: 4. რედიკული; 6. პრობაცია; 8. მარკშეიდერი; 10. რეგალია; 11. არია; 12. სტრიპი; 14. თართი; 17. ჰალვა; 19. დამბა; 20. ალგოლოგი; 21. იედო; 22. ბარბაროსი; 23. დიზაინი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1079

ევრო — 3.6403

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2917

100 რუსული რუბლი — 4.1966

ამინდის პროგნოზი 12 აგვისტოსათვის

სტერლინგი სიტისთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს



მანჩესტერ სიტი თავის ფორვარდ რაჰიმ სტერლინგთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და ეს კონტრაქტი 4–წლიანი იქნება. უცნობია, გაიზრდება თუ არა სტერლინგის ანაზღაურება, თუმცა ფაქტია, რომ სიტიში მასზე იმედებს ამყარებენ.

სტერლინგის გარდა, სიტი ფილ ფოდენთანაც გააფორმებს კონტრაქტს და ასევე შეეცდება, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატოს.

ჯეიდენ სანჩო სათამაშოდ მზად არის

მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეული ჯეიდენ სანჩო სათამაშოდ მზად არის. მან ტრავმა ბოლომდე მოიშუშა. სანჩოს ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მცირე ტრავმა ჰქონდა, რის გამოც მას, შესაძლოა, სეზონის სტარტი გამოეტოვებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. სანჩომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის იუნაიტედში მხოლოდ ტიტულების მოსაგებად გადავიდა და სხვა მიზნები არ ამოძრავებს.

მესი: „ბარსასთან შეხვედრა უცნაური იქნება“

პსჟ-ს ახალწვეულმა ლიონელ მესიმ მედიასთან კომენტარი უკვე გააკეთა და მას, ბუნებრივია, ბარსელონაზეც დაუსვეს შეკითხვა. მესის თქმით, მისთვის ბარსელონის წინააღმდეგ თამაში ძალიან საინტერესო იქნება, თუ ეს ორი გუნდი ერთმანეთს შეხვდა:

– ძალიან უცნაური შეგრძნება მექნება, თუ ბარსელონის წინააღმდეგ მომიწევს თამაში, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა მივეჩვიო იმ აზრს, რომ ბარსელონის ფეხბურთელი არ ვარ და ეს უკვე რეალობაა. პსჟ-ში ნაცნობები მყავს, ამიტომ ადაპტაცია არ გამიჭირდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალი საკუთარი თავისთვის გაკეთებულმა მცირე საჩუქარმა გაამდიდრა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის კუნძულ წმინდა ელენეს მკვიდრმა ქალმა დაბადების დღეზე საკუთარ თავს მცირე საჩუქარი გაუკეთა და მოულოდნელად გამდიდრდა.

ქალი საკუთარ დაბადების დღეს აღნიშნავდა და გადაწყვიტა, ორ დოლარად ლატარიის ბილეთი შეეძინა. შედეგად კი მან ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა.

ამერიკელის თქმით, როდესაც მოგების შესახებ შეიტყო, ატირდა, თუმცა ეს სიხარულის ცრემლები იყო.

– დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ მოვიგე. ეს შესანიშნავია, – განაცხადა ქალმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ ეს მოგება ოჯახური ბარბეკიუთი აღნიშნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 აგვისტოსათვის

ვერძი – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **კურო** – ნერვები მოთოკეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. **ტყუპები** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობა ყალიბდება. ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი პერიოდია. დღის პირველ ნახევარში სასიამოვნო შეხვედრა გელით. საღამოს საკუთარი ქედმაღლობის გამო პრობლემები შეგექმნებათ. **ქალწული** – თავი აარიდეთ ინტრიგან და შურიან ადამიანებთან ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ღრიანკალი** – ილუზიებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. გულიდან განაგდეთ ყოველგვარი ბრაზი და ბოღმა. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფასა და ზნეობრიობაზე იზრუნეთ. წვრილმანებს ნუ გამოედევნებით. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. კონფლიქტი გარშემომყოფებთან სტრესსა და შფოთვას გამოიწვევს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ავტოავარიაა. მანქანა განათების ბოძს შეასკდა, შემთხვევის ადგილზე ჟურნალისტებიც მიცვივდნენ. ერთ-ერთმა განზე მდგომი მამაკაცი შენიშნა, მივიდა და ეკითხება:

– ავარია რომ მოხდა, აქ იყავით?

– ჰო, აქ ვიდექი.

– და შეგიძლიათ განგვიმარტოთ, რა მოხდა?

– აგერ იმ ბოძს ხედავთ?

– კი, ვხედავთ!

– ჰოდა, იმგენებმა ვერ დაინახეს!

●●●

ჭირისუფლები ბჭობენ, მიცვალებულს ჩაატანონ თუ არა ყაბალახი. ერთი ამბობს:

– ამ ზაფხულში ყაბალახი რად უნდა!

– რავა, ზამთარში შენ წაუღებ თუ?!

●●●

მოსამართლე ბრალდებულ ქალს ეკითხება:

– რატომ ჩაარტყით ქმარს თავში ტაფა?

– დედაა, ამასაც ნებართვა სჭირდება?!

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, ბიჭო, ჩამოდი ჩვენთან, აგარაკზე.

– არ მინდა!

– ბიჭო, ლუდი გვაქვს, კიბორჩხალები, მაგარი გოგონები...

– მამა, მეორედ ვეღარ გამაცურებ, თქვენ თვითონ მიხედეთ თქვენს ბოსტანს!

●●●

ღამეა. თვითმფრინავი 10 კილომეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. პილოტი:

– შტურმანო, ქარის მიმართულება მომახსენე.

შტურმანმა ილუმინატორი გამოაღო, თავი გარეთ გაყო, შემდეგ შემოყო და მოახსენა:

– შემხვედრი ქარია, მეთაურო...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მერაბ სეფაშვილმა კონცერტები გააუქმა

მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა დაგეგმილი კონცერტები გააუქმა. ამის მიზეზი საქართველოში კორონავირუსის გავრცელება გახდა:

– გაუქმებული მაქვს ყველა კონცერტი და გთხოვთ ყველას, დაიცავით რეგულაციები და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

აჩიკო ნიჟარაძე: „ტაშ-ფანდური ჩვენი პროფესიის შეურაცხყოფაა!“



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე აცხადებს, რომ მისი და მისი კოლეგების პროფესიის ტაშ-ფანდურით მოხსენიება მათი პროფესიის შეურაცხყოფაა:

– ტაშ-ფანდური – ეს არის შეურაცხყოფა ჩვენი პროფესიის! მესმის, რომ სიმღერა პირდაპირ კავშირშია სიამოვნების მიღებასთან, გართობასთან, თუმცა ვერაფრით ვერ დავეთანხმები ვერავის, რომ ეს არის ტაშ-ფანდური. ეს არის ჩვენი პროფესია, რითიც სულდგმულობს ხელოვანი ადამიანი. რაც შეეხება პანდემიას, რა თქმა უნდა, კონცერტიც, სპექტაკლიც და საღამოებიც აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ყველა რეგულაციის დაცვით.

სწორედ იმის გამო, რომ ხალხში პასუხისმგებლობის ძალიან დაბალი მაჩვენებელია, ამდენი ხნის განმავლობაში ძალიან ბევრ კონცერტზე ვთქვი უარი მე პირადად, რაც ყველაზე მეტად ჩემს შემოსავალზე აისახა. ხელოვანი ადამიანების უმრავლესობას შემოსავალი აქვს მხოლოდ კონცერტებიდან და, როდესაც ვინმე იწყებს ხელოვანების კრიტიკასა და მათ საქმიანობას ტაშ-ფანდურს ეძახის, ეს არის ჩემთვის მიუღებელი.

გინდათ კონცერტები და სიამოვნების მიღება, მაშინ ყველამ კეთილი ინებოს და დაიცვას ყველა ის წესი, რომლებსაც ექიმები გვეუბნებიან, ხელოვანებმაც და მსმენელმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთხელ მივიღებთ დიდ ლოკდაუნს. მერე ვისხდებით სახლებში ყველა ერთად უმუშევრები და მშივრები და ამ დროს რაღაც ნაწილი ადამიანების დაიხოცება! ცოტა მეტი პასუხისმგებლობა გვჭირდება ყველას!

გაიკეთეთ 20-თეთრინი პირბადე, რა გახდა, ნუ ამოწყვეტთ ამ ხალხს!

ანზორ ერქომაიშვილი 81 წლის გახდებოდა

ოქტომბარი ანზორ ერქომაიშვილი 81 წლის გახდებოდა. იუბილარი ხელოვანი მუსიკოსმა გია ბაღაშვილმა გაიხსენა:

– ჩვენი უსაყვარლესი ბატონი ანზორ ერქომაიშვილი 81 წლის გახდებოდა.

ვერაფრით ვეგუები მის წასვლას. სულ ხელი გამირბის ტელეფონისკენ. მინდა, დავურეკო, მოვიკითხო, რჩევა ვკითხო...

ეპოქალური პიროვნება იყო, უდიდესი მასშტაბის მოღვაწე! თან როგორი უშუალო, თბილი, ადამიანური, ჭკუის საკითხავი კაცი.

მახსოვს, „ტელეიმედში“ დილას, პირდაპირ ეთერში გასვლამდე ერთი წუთით ადრე აღმოვაჩინე, რომ ჩემივე მომზადებული და დამონტაჟებული მასალიდან გადამავიწყდა, რომელი გუნდის ჩაწერილ საგალობელს წარვადგენდი 1901-19014 წლების საარქივო ჩანაწერებიდან. არც ვიდეომასალის შემოწმების დრო მქონდა და არც წიგნში ჩახედვის. მაშინვე ბატონ ანზორს დავურეკე.

– „დილა მშვიდობის, ჩემო გია. როგორ ხარ?“ – თბილი ხმით მიპასუხა.

– „კარგად, ბატონო ანზორ, უკაცრავად, ძალიან ვჩქარობ, პირდაპირ ეთერში შევდივარ და უნდა გკითხოთ, ეს საგალობელი რომელ წელსაა ჩაწერილი და რომელი გუნდის?“ – სწრაფად მივაყარე და თანაც წავუმღერე საგალობლის დასაწყისი მონაკვეთი. წამით გაირინდა და დაბეჯითებით მიპასუხა: „ცამციშვილის გუნდი, 1911 წლის ჩანაწერი“.

გულდამშვიდებული შევედი ეთერში, ვიცოდი, მართალი იყო, როგორც ყოველთვის!

ძალიან მენატრებით, ბატონო ანზორ, მაკლიხართ და უზომოდ მტკივა გული, რომ გვერდით აღარ გვყავხართ. აბანოთუბანში გავლას ვერიდები, ისე დაცარიელდა იქაურობა უთქვენოდ. თქვენი სახელი საუკუნეებს შემორჩება და თავად თქვენ მომავალი თაობებისთვის ყოველთვის იქნებით ქვეყნის უანგარო და ღირსეული მსახურების მაგალითი!

ლაშა ბუღაძე: „გია ყანჩელი ბიოგრაფიული კომპოზიტორია“

მწერალი ლაშა ბუღაძე კომპოზიტორს გია ყანჩელს იხსენებს და მას ბიოგრაფიულ კომპოზიტორს უწოდებს:

– ატმოსფერო კომპოზიტორის მუსიკით ივსება – შინაგანად იმეორებ შეჩვეულ მოტივებს ან ფიზიკურად იწევ მისი მუსიკისკენ, მით უმეტეს, ისეთი კომპოზიტორის მუსიკისკენ, რომლის იდეებიც, მინიმალური ნოტებით გამოხატული მრავლისმთქმელობა, მელოდიები თუ შინაარსით აღსავსე სიჩუმეც კი ჩვენი ცხოვრების ინტონაციურ შემადგენლად ქცეულა.

გია ყანჩელი ბიოგრაფიული კომპოზიტორია, ჩვენი ცხოვრების და, შეიძლება ითქვას, იდენტობის შემავსებელი – როგორც ფიროსმანის ფერწერა ან, ვთქვათ, გალაკტიონის ლექსი.

მაგრამ ყანჩელი არ არის მხოლოდ საყვარელი მელოდია და, ამავდროულად, არის კიდეც, რადგან შეუძლებელია, გიყვარდეს კომპოზიტორი, თუკი მის მიერ შექმნილი მელოდია არ გიყვარს. ყანჩელი უნივერსალური ენაა – ზოგჯერ რთული, ღრმა, ზოგჯერ მოჩვენებითად რთული ან, პირიქით, მოჩვენებითად მარტივი და მსუბუქი, მაგრამ ყოველთვის თანადროული თავისი იდუმალი ნევროტულობით, ინდივიდუალიზმით, სევდიანი ირონიით, სათქმელის მნიშვნელოვნებით და, რაც მთავარია, მსმენელზე – დაფიქრებულ ადამიანზე – ორიენტირებულობით.

ყანჩელის მსმენელი დაფიქრებული ადამიანია, რადგან ესაა კომპოზიტორი, რომლის მუსიკალურ-ფილოსოფიური კონცეფციაც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოხსვოხდი ›



შვეულად: 1. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. პოეტის შთაგონების წყარო; 6. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 8. საჭადრაკო ამოცანა; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 14. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 15. შაქრითა და ხილის წვენებით დამზადებული აღმოსავლური სასმელი; 19. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

თარაზულად: 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა საყოფაცხოვრებო სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 16. კინოცენტრი იტალიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 18. იტალიური ყველი; 20. იძულებითი ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისთვის; 21. პროვინციის მმართველი თურქეთში; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო, სააქციო გაერთიანება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა